



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ჰაილანდის
ჯორჯიანი ბიბლიოთეკა

იაკობ გოგებაშვილი

კრებული

იაკობ გოგებაშვილი
კრებული

ცხრა ძმანი ხერხეულიძენი

თბილისის სამხრეთით, ორმოცი ვერსის მანძილზე მდებარეობს მოზრდილი სოფელი მარაბდა. სამასი წლის წინათ ამ სოფელში ცხოვრობდა მოხუცი აზნაური ხერხეულიძე, რომელიც გადასახლებული იყო ზემო ქართლიდან და რომელსაც ცხრა ვაჟი ჰყავდა. მამა ამ ცხრა ვაჟისა იყო ერთგული მოყვარე თავისი ქვეყნისა და მხურვალე მამულიშვილი. ცოლად მას ჰყავდა ყოვლად ღირსეული ქართველი მანდილოსანი. ამის გამო ცხრა ძმანი ერთიერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები და მამულიშვილები დადგნენ. იმ ჟამად სპარსეთში მეფობდა შაჰი აბასი, მეტად აბეზარი მეომარი. მას ჰყავდა მრავალი ჯარი, გაწვრთნილი და გამოცდილი ლაშქრობაში. შაჰ-აბასმა დაიპყრო ბევრი ქვეყანა და ბოლოს საქართველოშიც შემოიჭრა. ქართველთა ჯარი მას გადაეღობა გზაზე თბილისის მახლობლად მარაბდის სამხრეთით. ატყდა საშინელი ბრძოლა. სამი დღის განმავლობაში სისხლი შეუწყვეტელ ნაკადულებად დიოდა. თუმცა სპარსელები ერთი-ათად მეტნი იყვნენ, მაგრამ მათ სამი დღის განმავლობაში ქართველს ჯარს ფეხი ვერ მოაცვლევინეს, რადგანაც ქართველი მეომარნი თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლოს დაცვისათვის. მეტადრე საოცარ უშიშროებას, სამაგალითო ვაჟკაცობას და საარაკო თავდადებულობას იჩენდნენ ცხრა ძმანი ხერხეულიძენი, რომელნიც ერთად, მხარდამხარ ებრძოდნენ მტერსა, მათ სპარსელების არა ერთი იერიში უკუაქციეს, არა ერთხელ აქნევინეს ზურგი მტერსა, მაგრამ მეოთხე დღეს სპარსელებს ახალი ჯარი მოეშველა და დალილ-დაქანცულმა ქართველთა ლაშქარმა ვედარ შეიკავა მტერი. ამ საშინელი წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი არამც თუ არ შედრკნენ, არამედ ლომებად გადაიქცნენ და უფრო მომეტებული თავის განწირვით იბრძოდნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ: — ან გაემარჯვათ, ან ბრძოლის ველზე დახოცილიყვნენ ყველანი. და რადგანაც ქართველმა ჯარმა ვერ გაიმარჯვა, თავდადებულნი ძმანი, ერთიერთმანეთზე ზედ შეაკვდნენ მტერსა და თავისი გმირული სული

დალიეს ბრძოლის ველზე. ხალხის თქმულებით, მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო, ამხნევებდა მათ და როცა ერთ მის ვაჟს, სასიკვდილოდ დაჭრილს, ქართული დროშა ხელიდან გაუვარდა, დედამ აიღო დროშა და თავის მეორე შვილს მისცა ხელში. მადლიერმა ქართველებმა ეს ცხრა მმა იპოვნეს ბრძოლის ველზე მკვდართა შორის, თითოეული დიდი მოწიწებით დამარხეს ცალ-ცალკე მწკრივად და დაადვეს ცხრა დიდი დიდი საფლავის ქვა, რომელიც დღემდის დაცულია.

ცოტნე დადიანი

1. მონგოლნი საქართველოში

მეცამეტე საუკუნის შუა წლებში საქართველოსათვის თავდადებულობით თავი ისახელა ერთმა დიდებულმა ქართველმა, სახელად ცოტნე დადიანმა. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი. თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ არ გასულიყო ჯერ თორმეტი წელიწადი, რომ ჩვენს ქვეყანას შემოესია მრავალრიცხოვანი და უმძლავრესი მტერი — მონგოლები. ამ ველურმა ხალხმა მოინდომეს საქართველოს დაპყრობა. მათ მოსთხოვეს ქართველებს, ნებაყოფლობით დაგვიმორჩილდითო, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. მაშინ მათი ლაშქარი შემოესია ჩვენს ქვეყანას და დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ქართველთა და მონგოლთა შორის. ქართველებმა დიდი ვაჟკაცობა უჩვენეს მტერს, სამშობლოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას თავგანწირულნი იცავდნენ, მედგრად ებრძოდნენ მონგოლებს, ჟლეტდნენ მათ. მაგრამ მტრის სიმრავლის გამო ბოლოს მაინც ძლეულნი იყვნენ. გამარჯვებულმა მონგოლებმა იწყეს მბრძანებლობა საქართველოში და სწრაფად შესცვალეს მისი მდგომარეობა. ქვეყანა სწრაფად გაადარიბეს, თავისუფალს ერს ყმობის უღელი დაადგეს. მტერს მაინც ეშინოდა ქართველების შეერთებული ძალისა და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ჩაეშალა ქართველთა შორის ერთობა და ამით ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ დაეუძღურებინა და დაემონავებინა. ასეც მოიქცნენ, თავისი წადილი სისრულეში მოიყვანეს.

ცდილობდნენ ვერაგობით მტრობა ჩამოეგდოთ და იმერნი და ამერნი ქართველნი ერთმანეთთან შეეჯახებინათ. როცა ასე გააცალკევეს ღვიძლი ძმები და დააუძლურეს, მაშინ მოინდომეს მეფე ჩამოეგდოთ, თვითონ ყოფილიყვნენ პირდაპირი მბრძანებელნი ქართველებისა.

2. კრება მამულიშვილთა

ქართველნი მამულიშვილნი ძლიერ სწუხდნენ, როცა ხედავდნენ ქვეყნის განცალკევებას, უმეფობას, სისუსტეს ერისას და სულ იმის ფიქრში იყვნენ, რა ელონათ. ბოლოს საქართველოს ყველა კუთხის საუკეთესო მამულიშვილებმა მოიხმეს ერთმანეთი და მოახდინეს კრება შუაგულს ადგილას, ახალციხის მახლობლად. ისინი ქვეყნის შველაზე ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ. ბოლოს, ერთხმად დაადგნენ იმ აზრს, იმ გადაწყვეტილებას, რომ წასულიყვნენ ყველანი თავ-თავიანთ ქვეყანაში, აეჯანყებინათ მცხოვრებნი, მოეკრიფათ საჩქაროდ ჯარები და მოესხათ ისინი ახალციხის ახლოს. აქედან შეერთებული ძალით უნდა გაელაშქრათ მონგოლების წინააღმდეგ, გაერეკათ ისინი საქართველოდან.

3. დატყვევება ქართველებისა

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ცოტნე დადიანი გაემურა შორეულს აფხაზეთში, რათა დროზე შეეკრიბა ჯარი და ვადაზე მიესწრო დანიშნულ ადგილას. სხვანი ჯერ ერთად იყვნენ და აჯანყების წესსა და რიგს აწყობდნენ. მაგრამ მონგოლებმა ეს ამბავი შეიტყვეს, უთუოდ სულმდაბალი ჯაშუშების შემწეობით. მათ სწრაფად აფრინეს ცხენოსანი ჯარი ახალციხისაკენ. ეს ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა ქართველ მთავრებს სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი აქედან წასვლას აპირებდნენ თავიანთ ქვეყნებში მცხოვრებლების ასაჯანყებლად. ქართველებს თან ჯარი არა ჰყავდათ, წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დატყვევებულ იქმნენ ყველანი ერთად. ჩვენები მტერმა წაასხა სამხრეთით, სადაც ბინა ჰქონდა მონგოლთა მბრძანებელს ანუ ნოინს. ნოინი რისხვითა და მუქარით დაუხვდა ქართველებს და მოითხოვდა მათგან, გატყდით ახლავე, რომ ჩემს წინააღმდეგ აჯანყებას აპირებდით და თავმდაბლად ითხოვეთ

შეწყნარება, თორემ დიდ სატანჯველს მოგაყენებთო. ქართველები არც გატყდნენ და არც შებრალება სთხოვეს. მაშინ ნოინმა უბრძანა თავის მხლებლებს: გააკავეთ ეს ქართველები, დაატიტვლეთ, ყველას თოკებით შეუკარით მკლავები, წაუსვით ტანზე თაფლი, დასხით პაპანაქება მზეზე და იხრაკებოდნენ, ვიდრე არ გამოტყდებიან და შეწყნარებას არ მოითხოვენო. ეს ბრძანება იმწამსვე შეასრულეს. აუარებელი მწერი დაეხვია მათ ტანზე და სტანჯავდა. მტერს ეგონა, ქართველები მალე შეუშინდებიან წვალებას, თავისავე პირით აღიარებენ თავის ბრალსა და ხვეწნას დამიწყებენო; მაგრამ ამაოდ. გავიდა მრავალი დღე და ქართველთა სიმტკიცე იოტის ოდენადაც არ შერყეულა. ვერც მუქარამ და ვერც მომსყიდველმა დაპირებამ მათ ვერ ათქმევინა ის, რაც უნდოდათ მწვალებლებს.

4. თავდადება ცოტნესი

ამასობაში დადგა ის დრო, როდესაც პირობისამებრ უნდა შეყრილიყვნენ საქართველოს მთავარნი თავიანთი ჯარებით ახალციხის ახლოს; აქ დანიშნულ ვადაზე ცოტნე დადიანი გამოცხადდა თავისი ჯარით, მაგრამ ნაცვლად თავმოყრილი ქართველი ლაშქრისა, მას დახვდა საზარელი ამბავი. მან იმწამსვე მიიღო იმისთანა მაღალი და საკვირველი გარდაწყვეტილება, რომელიც შეეფერება სამაგალითო მამულიშვილს და ყოვლად ღირსეულ ვაჟკაცს. თავისი ლაშქარი მთლად უკანვე აფხაზეთში დააბრუნა, თვითონ კი გასწია ანისისაკენ ორი მოსამსახურით იმ განზრახვით, რომ მისულიყო დატყვევებულ ქართველებთან და ჭირსა და ტანჯვაში მათთან ყოფილიყო. ცოტნემ გაიარა მესხეთი ანუ ახლანდელი ახალციხის მხარე, შემდეგ ჯავახეთი, ჩავიდა სომხეთს და შევიდა სომეხთა დედაქალაქ ანისში. ერთ დიდ მოედანზე დაინახა ქართველი ტყვეები, რომელნიც გატიტვლებულნი და მკლავებშეკრულნი ისხდნენ მზის გულზე და იხრაკებოდნენ. საშინელმა წუხილმა შეიპყრო გმირული გული ცოტნესი, როცა ამისთანა დამამცირებელ მდგომარეობაში ნახა წარჩინებული ქართველნი. მაგრამ ამასთან ნუგეშიც იგრძნო, რადგან დაინახა, თუ რა ღირსეული

ვაჟკაცობით იტანდნენ ამ სათაკილო სასჯელს მისი მეგობარნი. ცოტნე გადმოხტა ცხენიდან, მივიდა თავის მეგობრებთან და მხურვალედ მიესალმა; მერე ფიცხლავ გაიძრო თავისი ტანისამოსი, გატიტვლდა, თვითონვე შეიკრა თოკებით მკლავები და ჩაჯდა ამ სახით თავის მეგობრებს შორის დაღონებული. როცა ეს ამბავი ნოინს მოახსენეს, იგი საშინლად გაოცდა, დაიბარა თავისთან ცოტნე და ჰკითხა მიზეზი, რად მოვიდა აქ და რად ჩაჯდა გატიტვლებულ ქართველთა შორის. ცოტნემ მიუგო: მე მოვედი იმიტომ, რომ ჩემი ამხანაგები უდანაშაულონი არიან. უდანაშაულოთა დასჯა კი თუ შეიძლება, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო. ამ სამაგალითო სათნოებამ და იშვიათმა მეგობრულმა ერთგულებამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნოინზე, რომ მან თქვა: რადგანაც ქართველნი იმდენად სათნონი და კეთილნი ყოფილან, იმდენად ერთგულნი ერთმანეთისა, რომ შორეული აფხაზეთით მოვიდა ეს დიდებული კაცი, რათა თავი დასდოს მეგობრებისათვის, ამიტომ ვენდობი მეც მათ და ვანთავისუფლებ ყველასო. ასე იხსნა სახელოვანმა მამულიშვილმა ცოტნე დადიანმა რჩეული ქართველები საშინელი წამებისაგან.

ტყვეობიდან დაბრუნებულნი ქართველნი შეუდგნენ ქვეყნის გაძლიერებას, დაამყარეს ამერთა და იმერთა შორის ძმური კავშირი და ერთობა, და განდევნეს თავისი ქვეყნიდან მონგოლნი.

იავნანამ რა ჰქმნა?

სამშობლო ღვინისა

თბილისიდან რომ აღმოსავლეთისკენ წახვიდე, ერთი დღის მოგზაურობის შემდეგ მიადგები ერთ გრძელ მთას, რომელსაც ჰქვია ცივი. ამ ცივის მთაზე რომ ახვიდე და იქით, აღმოსავლეთისაკენ გადაიხედო, შენ თვალწინ, ქვემოთ გადაიჭიმება ვეებერთელა ვაკე, რომელსაც ჰვარავს მთელი მწვანე ზღვა ვენახებისა და ზვრებისა. ამ

ვაკის ზედ შუა წელზე დაინახავ გრძელ ლაპლაპა ზოლს, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გავლებულს. ეს სწორი ვაკე არის კახეთის ველი, ლაპლაპა ზოლი კი მდინარე ალაზანი, რომელიც კახეთს ჰყოფს ორ — თითქმის თანასწორ ნაწილად; აქეთა ნახევარს ჰქვია გამოღმა მხარი, იქითას — გაღმა მხარი. გაღმა მხარს საზღვრად უძვეს აღმოსავლეთით დიდი და მაღალი მთები და ესენი ჰყოფენ კახეთს დაღესტნისაგან, რომელიც იწყება ამ მთებს იქით.

თუ გაღმა მხრისაკენ თვალს დააკვირვებ, ერთ ადგილას მთის ძირში გაარჩევ დიდ ღელეს, ღრმად შევარდნილს მთაში. ეს ღელე ახლა სახნავ-სათესი ადგილია, მაგრამ რომ ახლო მიხვიდე და კარგად გასინჯო, მიწების მიჯნებზე და განაპირას ადვილად შეამჩნევ ქვიტკირის ნაშთებს. ეს ნაშთები უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ეს ადგილი ნასოფლარია.

სოფელი ვაშლოვანი

დიახ, ძველ დროში სწორედ ამ ადგილას ჰყვავდა კარგა მოზრდილი სოფელი, რომელსაც ვაშლოვანი ერქვა. დასავლეთით ამ სოფელს ერტყა ზვრები და ვენახები, ხოლო აღმოსავლეთის მხრივ ის თითქმის ეხებოდა ხშირსა და აყრილ ტყეს, რომლითაც შეფენილი იყო მთა. ამ ხშირი ტყის წყალობით შიგ შუაგულს სოფელში მიწიდან შადრევანივით ამოჩუხჩუხებდა ვეებერთელა ანკარა წყარო, რომლის ყინულივით ცივი წყალი იყო საყვარელი სასმელი მთელი სოფლისა. შენობანი სოფლისა სულ ქვიტკირისანი იყვნენ და მოწმობდნენ, რომ სოფელი შეძლებული იყო. მართლაც, მაშინ ვაშლოვანმა და მთელმა კახეთმა არ იცოდა, რა იყო ვაჭრის ვალი, რომელშიაც ახლა კახეთი ჩაფლულია. ვაშლოვანის ნაპირას, აღმოსავლეთით, ტყის ახლოს იდგა მშვენიერი ორსართულიანი სასახლე, ირგვლივ შემკული ლამაზი მოაჯირებით. ეს სასახლე ეკუთვნოდა თავად ზურაბ ქართველამეს, რომელიც განთქმული იყო მთელს კახეთში თავისი სიმდიდრითა და პურადობით. ცოლად მას ჰყავდა ქართლიდან მოყვანილი ქალი მაგდანი. აგებულობით სუსტი, მაგდანი იყო სწორედ ოქროს გულის პატრონი. მათ სახლში ყოველდღე იმდენი საჭმელი

კეთდებოდა, რომ ორ-სამ სახლობას ეყოფოდა, მაგრამ ხშირად დააკლდებოდა ხოლმე საჭმელი და გაუმაძღარნი რჩებოდნენ. ამის მიზეზი იყო მეტად კაცთმოყვარე გული მაგდანისა. ის უხვად უგზავნიდა თავის სახლიდან სანოვაგეს ყოველ ავადმყოფს, ღარიბსა და გაჭირვებულს. ამასთან მაგდანს ჰქონდა საოცარი ხმა და განთქმული იყო მთელს იმ მხარეში თავისი მშვენიერი სიმღერით. მისი ხმა და სიმღერა ისე ღრმად მიდიოდა კაცის გულში, ისეთი სიამოვნების ჟრუანტელს ჰგვრიდა, რომ ვინც კი მას მოისმენდა, თავის სიცოცხლეში აღარ დაავიწყდებოდა. ზურაბმაც მშვენივრად იცოდა თარზე დაკვრა. როცა ქმარი უკრავდა თარზე და ცოლი დამღეროდა, ყური ამაზე უკეთესს ვერას გაიგონებდა. ზურაბი და მაგდანი სულ ხუთი-ექვსი წლის ჯვარდაწერილნი იყვნენ. შვილად ჰყავდათ ერთადერთი ქალი — ქეთო, რომელიც მესამე წელიწადში იდგა. მეტად საყვარელი ბავშვი იყო ქეთო: ლამაზი, თეთრი ბამბის ქულასავით, ცქრიალა, მხიარული, დაუღალავი მოტიკტიკე. ამასთან ქეთოს უყვარდა თავისი დედის სიმღერა, ხშირადაც ამღერებდა და სულგანაბული ყურს უგდებდა მთელი საათობით. კაცს სწორედ ჩასაყლაპავად მოუნდებოდა ეს ბავშვი. დედ-მამას მასზე ამოსდიოდა მზე და გაგიჟებით უყვარდათ.

ლეკები კახეთში

ვაშლოვანში და საზოგადოდ კახეთში მაშინდელ დროში ხშირად დაიარებოდნენ ლეკები. ძველი დროიდან დაღესტანსა და საქართველოს შორის ტკბილი განწყობილება არსებობდა, — დიდი მეგობრობა სუფევდა. ყოველ საქართველოს მტერს დაღესტანი მტრობას უწევდა, ყოველ საქართველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა. არავის არ ახსოვდა, რომ ლეკები როდისმე საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი აეტეხნათ ქართველებისათვის. ლეკები მტრად გაუხდნენ ქართველებს შემდეგში, როდესაც მაჰმადიანობა მიიღეს და როდესაც საქართველომ მართლმადიდებელი რუსეთისაკენ გაიწია. ძველ დროში კი დიდის პატივისცემისა და გულითადი მეგობრობის მეტი ქართველებს არა მოაგონდებოდათ რა. ამ მეგობრული მეზობლობის გამო ლეკები

თავისუფლად მიდი- მოდიოდნენ კახეთში, უმეტეს წილად სავაჭროდ. გასასყიდად გამოჰქონდათ უფრო ნაბდეულობა და იარაღეულობა, რომლის კეთებაშიც განთქმულნი იყვნენ.

ქეთოს იტაცებენ

სოფელ ვაშლოვანში დაიარებოდა კაი ხნიდან სავაჭროდ ორი ბაჯაჯგუნა ლეკი. ესენი ისე წყალწადებულები იყვნენ, რომ თვითონ ლეკებსაც აბუჩად ჰყავდათ აგდებული. ამიტომ მათგან ცუდი საქმის გაბედვასარავინ არ მოელოდა, მაგრამ მალე მათ გაამართლეს ქართული ანდაზა: თავჩალუნული კუდგაბზეკილიაო...

ერთხელ ერთმა ამ ლეკთაგანმა თავის ამხანაგს უთხრა:

— იცი, რა აზრი მომივიდა! რამდენი ხანია, რაც ჩვენ სავაჭროდ დავიარებით, მაგრამ რა გამოვიდა? ისევ ისეთი ლატაკები ვართ, როგორც ვიყავით, ისევ ისეთივე ძალღური ცხოვრება გვაქვს, როგორცა გვექონდა. სხვაფრივ კი რომ მოვიქცეთ, ერთბაშად გავმდიდრდებით და მოვრჩებით ამდენ ვაი-ვაგლახსა და ლაწლაწს.

— როგორ? — ჰკითხა ამხანაგმა.

— ზურაბ ქართველამე ხომ ძლიერ მდიდარია? — ჰკითხა მან.

— ჰო, მდიდარია, მაგრამ რას გვარგებს ჩვენ იმის

სიმდიდრე? — უპასუხა იმან.

— გვარგებს, თუ ჭკუით მოვიქცევით. ამ მდიდარ კაცს ხომ გაგიჟებით უყვარს თავისი ერთადერთი ქალი?

— უყვარს, მაგრამ რა გამოვიდა მანდედან?

— ის გამოვიდა, რომ თუ ჩვენ იმ ბავშვს როგორმე მოვიტაცებთ და ტყვედ წავიყვანთ დალესტანში, როგორ გგონია, ქართველადე განა თავის შეძლებას დაიშურებს, რომ ტყვეობიდან დაიხსნას შვილი? ჰაი, ჰაი, რომ არ დაიშურებს.

ამხანაგსაც მოეწონა ეს აზრი და გადასწყვიტეს, რომ თვალი ადევნონ და რა წამს იგდონ ხელში მოხერხებული დრო, მოსტაცონ ჩუმი ქართველადეს ქეთო და ტყვედ წაიყვანონ დალესტანში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სოფელ ვაშლოვანს აღმოსავლეთით ეკრა დიდი ატეხილი ტყე. ამ ტყის პირას ხშირად სეირნობდა ხოლმე ქართველადის სახლობა, რადგანაც სახლი იქვე ახლო ედგათ. ერთხელ, ქეთოს გამდელმა, საღამო ჟამს ამ ტყისკენ გამოისეირნა და თან ჰყავდა პატარა ქეთოც. ტყეს რომ მიუახლოვდნენ, ბავშვმა ხის ქვეშ ჩიტი დაინახა და გაექანა; ჩიტმა ისკუპა და იქით ხეებში გადაფრთხილდა. ბავშვიც უკან დაედევნა. ამასობაში ქეთო კარგა შორს წავიდა ტყეში. გამდელიც უკან მისდევდა. უცებ საიდგანლაც გაჩნდა ლეკი, მივარდა ქეთოს, სტაცა ხელი, მეორე ხელი პირზე დააფარა და გაიტაცა. გამდელმა დაყვირება ვერ მოასწრო, რადგან ამ დროს მეორე ლეკმა თავში კეტი დაარტყა და უსულდგმულოდ დასცა მიწაზე. გაიტაცეს ქეთო და წაიყვანეს.

მდევარი ქეთოს დედ-მამას ფიქრი არაფრისა ჰქონდათ. ეგონათ, მეზობლებში იქნებიან ჩვენი ქალი და გამდელი და თავის დროზე მოვლენო. როდესაც დაღამდა და გამდელი ბავშვით არსად იყო, შეფიქრიანდნენ და მეზობლებში გაგზავნეს მოსაკითხად: მაგრამ აბა რას იპოვნინდნენ. ყველგან უთხრეს, რომ დღეს არც კი გვინახავს ისინიო. მაშინ შეშინებულმა დედ-მამამ ჩირაღდნებით დაუწყო ძებნა სოფლის

გარშემო. დიდხანს ეძებეს და ბოლოს თავს წაადგნენ ტყეში გამდელს, რომელიც მკვდარივით ეგდო ხის ძირას. ღამის სიგრილემ და ხმაურობამ გონში ჩააგდო გამდელი და გამოაცოცხლა. ჯერ ხეირიანად არ გამორკვეულიყო, რომ შემფოთებულმა და გაფითრებულმა მაგდანმა მიაძახა: — “ქეთო სადღა არის?” გამდელმა სუსტი ხმით და შესვენებით უამბო, როგორ მოიტაცეს ლეკებმა ქეთო. ამის გაგონება და მაგდანის გულის წასვლა ერთი იყო. ზურაბსაც საშინელი თავზარი დაეცა, მაგრამ ვაჟკაცურად თავი შეიმაგრა, მწუხარებას

სძლია და დაიძახა: — არიქა მდევარიო!

მაშინდელ დროში ყველა ვაჟკაცს სრული თოფ-იარაღი ჰქონდა სახლში და გამოცდილი მეომარი იყო, რადგანაც გაჭირვების დროს საქართველოს მეფე ქუდზე კაცს დაიბარებდა ხოლმე, ამიტომ ზურაბის დამახების შემდეგ ერთი საათი არ გასულიყო, რომ მისი სახლის წინ იდგა ოცამდის ვაჟკაცი, თავით ფეხებამდის შეირადებული... სწრაფად გამოვიდა იარაღშივე ჩამჯდარი ზურაბი, მიესალმა და გაუძღვა წინ.

ღამე ღრუბლიანი და ძლიერ ბნელი იყო. მას უკან, რაც ლეკებმა ქეთო გაიტაცეს, კარგა ხანმა განვლო. დაღესტნისაკენ ტყეებსა და მთებში მისდევდა მხოლოდ ვიწრო ბილიკები და მთაზე სიარული ბნელ ღამეში ძლიერ ძნელი იყო ხამი კაცისათვის. ქეთოს მომტაცებელმა ლეკებმა ისე იცოდნენ ეს ბილიკები, რომ თვალდახუჭულსაც შეეძლოთ მათზე სიარული. ზურაბსა და იმის რაზმს კი აქეთ თითქმის არ ევლოთ. ამიტომ ლეკებმა მთელი ღამე განუწყვეტლივ და დაუბრკოლებლივ იარეს, დიდს მანძილზე გაუსწრეს მდევარს, და მოტაცებული ქეთო მეორე დღესვე გადაიყვანეს დაღესტანში. ზურაბ ქართველამე თავისი ამალით იძულებული შეიქმნა ხელცარიელი და საშინლად დაღონებული უკანვე დაბრუნებულიყო.

ქეთოს ნაიბი ყიდულობს

ლეკებმა პირველად ქეთო გაატარეს ერთ დიდს დაღესტნის სოფელზე,

რომელიც იდო აქეთ ნაპირას, კახეთის საზღვრის ახლო. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი მდიდარი ნაიბი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი დასავლეთის მხარე დაღესტნისა. მას ჰყავდა ცოლად ლეკისავე ქალი, შემკული ერთსა და იმავე დროს ვაჟკაცურის გამბედაობით და მეტად ნაზი გულით. ესენი იყვნენ დიდი ხნის ნაქორწილარი, მაგრამ შვილი კი არა ჰყავდათ და გადაწყვეტილი ჰქონდათ,ვისიმე შვილი ეშვილათ.საღამოს ჟამი იყო, როცა იმათ სახლის წინ ლეკებმა ქეთო გაატარეს. ნაიბი და იმისი ცოლი კარაპანში ისხდნენ. მათ დაინახეს მიმავალი ორი ლეკი და ერთ მათგანს შეამჩნიეს ზურგზე გუდა, რომლიდანაც ბავშვის თავი და სახე ჩანდა. დაუმახეს თავისთან. ლეკები მოწიწებით მივიდნენ და თავი დაბლა დაუკრეს, როგორც თავის ბატონს, მბრძანებელს. ლეკებს ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხეს. ამათ დატუქსვისა ემინოდათ და ამიტომ მართალი დაუმალეს. — უთხრეს, რომ ეს ბავშვი გზაზე ტყეში ვიპოვნეთ და წამოვიყვანეთო.

პატარა ქეთო ცალკე დიდი ხნის მგზავრობისაგან და ცალკე შიმშილისაგან ძლიერ მისუსტებული იყო და ძლივსდა ახელდა თვალებს. მაგრამ ეს სისუსტე კიდევ უფრო საყვარელ ბავშვად ხდიდა მას. რაწამს ნაიბმა და მისმა ცოლმა ეს ბავშვი დაინახეს, მაშინვე გული ზედ შეუვარდათ. ნაიბის ცოლმა ჰკითხა ლეკებს: — რა მოგცეთ, რომ ეს ბავშვი ჩვენ დაგვითმოდო? — რა უნდა გვიბოდო, ქალბატონო, თუ გნებავთ, ფეშქაში გახლდეთო. ნაიბი ადგა, შევიდა სახლში, გამოუტანა ვეებერთელა ქისა, ოქროებით სავსე, და მისცა ლეკებსა. ქეთო გამოართვა ლეკს ნაიბის ცოლმა და მაშინვე გულში ჩაიკონა. ლეკებმა მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ.

დედობრივმა ალერსმა მალე მოასულიერა მიზნედილი ბავშვი. მას თუმცა ყველაფერი ეუცხოვა, მაგრამ, იმოდენა წვალეების შემდეგ ბრიყვი ლეკების ხელში, ნაიბის ცოლის მისაყვარლება და ზრუნვა სწორედ შვებად ეჩვენა. პირველ ხანებში მაინც ქეთო ყველაფერზე გულცივად იყო და ხშირად ტიროდა, თავის დედ-მამას, სხვა შინაურებს და თავის სოფელს მოიგონებდა. მაგრამ ნაიბის ცოლი და იმისი ქმარი ისეთი

სიყვარულით, მოფერებითა და ალერსით ექცეოდნენ ქეთოს, რომ მალე დაავიწყებინეს წინანდელი ყველაფერი.

ქეთო ლეკ-ქალად იქცევა

ბავშვი აწმდგომით ცხოვრობს, ის შეუწყვეტლივ ყოველდღე იზრდება, სულითა და ხორციით წინ მიდის, მატულობს, გრძნობს ამ თავის ზრდას, წინსვლას და ბედნიერია ამ გრძნობით. ის სრული სიხარულით შეჰხარის ცასა და დედამიწას, ბუნებას და ადამიანს. რადგან ბედნიერია აწმდგომით, ბავშვი არ ფიქრობს არც წარსულზე და არც მომავალზე. ამის გამო წარსულის ნაშთი, ხსოვნა, მოგონება მის გულსა და გონებაში მალე სუსტდება, მკრთალდება და, თითქო სრულიად იშლება, აწმდგომი კი სრული ძალით მოქმედებს მასზე და იჭერს წარსულის ადგილს მთლად, განუყოფელად. ქეთოსაც ეს დაემართა. ნაიბმა და იმისმა ცოლმა ისე შეაყვარეს ქეთოს თავი, რომ თანდათან ჩააქრეს მის სახსოვარში ღვიძლი დედ-მამის სიყვარული, მოგონება, სახე. ორი-სამი წლის შემდეგ ქეთოს თავის ნამდვილ მშობლად მიაჩნდა ნაიბი და მისი ცოლი: იმათით ცოცხლობდა, იმათით ჰხარობდა. ღვიძლი დედ-მამის კვალი, თითქო მთლად წაიშალა მის ბუნებაში. ლეკურმა ენამ ცოტ-ცოტაობით, დღითი დღე შეასუსტა ქართული ენა ქეთოში, დაიჭირა მისი ადგილი და ჩააქრო იგი. ლეკურმა სოფელმა ვაშლოვანის სახსენებელი ამოაგდო მისი გულიდან. ქეთო დიდხანს ჰგრძნობდა მხოლოდ ერთს დანაკლისს: მაგდანის მშვენიერი ხმა, დამატკბობელი სიმღერა ქეთოს ყურს აღარ ასიამოვნებდა. მაგრამ ესეც დაივიწყა, თუმცა ყველაზე გვიან. ერთი სიტყვით, აწმდგომი გამეფდა ქეთოს სულში და წარსული ჯერ მკრთალი გახდა და მერე სრულიად გააქრო. ქართველი ქალი გადაიქცა ლეკ-ქალად, კახეთის შვილი — დაღესტნის შვილად. ამ სრულ გალეკებას ქეთოსას იმანაც მოუწყო ხელი, რომ ნაიბმა სასტიკი ბრძანება გასცა სოფელში: — არამც და არამც არავინ არ გაბედოს და ქეთოს ყურს არ გააგონოს, რომ ნაშვილარია და არა ჩვენი ღვიძლი შვილიო.

ამაო ცდა ქეთოს მამისა

რას ფიქრობდა და რას სჩადიოდა იმ დროს ქეთოს დედ-მამა? დიდხანს მათ არ იცოდნენ, რა უყვეს ლეკებმა ბავშვს. ზურაბს თავისი ქალი უფრო შუა დაღესტანში ეგულებოდა და იქ აძებნინებდა, რადგანაც მომტაცი ლეკები იქიდან იყვნენ. ამასობაში გავიდა სამი, ოთხი წელიწადი. ბოლოს ერთმა ნაცნობმა ლეკმა მოუტანა ამბავი, რომ ამა და ამ ნაიბს შენი ქალი ხელში ჩაუგდია, უშვილებია და ზრდის, როგორც საკუთარ ქალსაო. ზურაბმა შეუთვალა ნაიბს, რომ ეგ ქალი ჩემი შვილია, მოტაცებულია ჩუმად და ოღონდ დამიბრუნე უკან და რასაც მთხოვ, მომცემი ვარო. ნაიბმა შემოუთვალა პასუხად, რომ თუ თავდაპირველად მცოდნოდა, რომ ეს ბავშვი შენი ქალია, მე თვითონ დაგიბრუნებდი, მაგრამ ახლა გვიანლა არისო. მეც და ჩემ ცოლსაც მზე ამ ბავშვზე ამოგვდის, მასაც ძლიერ ვუყვარვართ, აქაურობაში გაჩვეულია. თქვენ სრულიად დავიწყებული ჰყავხართ და ამიტომ ქეთოს ვერ დაგიბრუნებ, თუნდ მთელი კახეთის სიმდიდრე კარებზე დამიგროვოო. ამისთანა პასუხის შემდეგ ზურაბს შეეძლო თავისი ქალი დაეხსნა ძალით ან რაიმე ხერხით. დარჩენა კი ქეთოსი დაღესტანში აუტანელი იყო მისი დედ-მამისათვის, მით უმეტეს, რომ მაგდანს ქეთოს შემდეგ შვილი აღარ ეძლეოდა. ქართველამე ბევრჯერ გაემგზავრა დაღესტნისაკენ ოციოდე შეიარაღებული ვაჟკაცით ქეთოს მოსატაცებლად, მაგრამ ტყუილად. ნაიბმა კარგად იცოდა წადილი და მეცადინეობა მისი და ამიტომ ყოველთვის გზაში დაახვედრებდა ხოლმე ჩასაფრებულ ლეკებს იმისთანა ადგილას, სადაც ერთი ჩასაფრებული ოცსა და ორმოც ვაჟკაცს გზას შეუკრავდა. სიმრავლევ ქართველების რაზმისა აძნელებდა შეუმჩნევლად მიახლოებას ნაიბის სოფლამდის. როცა ამ გზით ვერაფერს გახდა, ზურაბმა ხერხს მიმართა: ხმა გააგდო, რომ გულიდან ამოვიღე ჩემი ქალი და აღარ მწადია მოვტაცო დედობილსა და მამობილსაო. ეს ხმა მივიდა ნაიბამდისაც და მან ჯერ თუმცა ეჭვის თვალთ შეხედა, მაგრამ მერე კი დაიჯერა, რადგან მთელი ორი წლის განმავლობაში ქართველადის მხრივ ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. აქამდის ქეთოს დიდი სიფრთხილით უშვებდნენ კარში, ახლა კი, მაშინდელი დროის ლეკების სხვა ქალებივით,

თავისუფლად დადიოდა ერთი უბნიდან მეორე უბანში თავის ნაცნობებთან. ეს ყველაფერი ზურაბმა კარგად შეიტყო ნაცნობი ლეკების შუამავლობით და თადარიგს სხვანაირად შეუდგა.

ქეთოს მამა იტაცებს

დადგა სწორედ მეათე გაზაფხული მას უკან, რაც ქეთო მოიტაცეს ლეკებმა. ტყე ხშირად იყო შეფოთლილი და აადვილებდა შეუმჩნევლად მისვლას ნაიბის სოფლამდის. ზურაბმა მოიხმო ერთი იქაური ლეკი, დიდი ხნის ნაცნობარი და პურმარილით დავალებული. გაიმძღვარა წინ და თან წაიყვანა მხოლოდ ათი შეირადებული ვაჟკაცი. მთელი მანძილი ისე ფრთხილად გაიარეს, რომ ერთი ლეკი არ დახვედრიათ გზაზე. მეორე დღეს საღამოს ჟამს მივიდნენ ნაიბის სოფლის პირად და ტყეში მოხერხებულ ადგილას დაბინავდნენ. ლეკი ჩუმად წავიდა იმ ღამეს თავის სოფელში, გაიგო და დილასისხამზე მეტად საამო ამბავი მოუტანა. ქეთო თურმე ყოველ დილით აივლიდა ხოლმე ერთი თავისი მეგობარი ქალის სანახავად. ეს ქალი იყო შვილი წინანდელი მოხუცებული ნაიბისა, რომელიც ამას წინათ გადაცვლილიყო. ყმაწვილი ქალი ძლიერ მწუხარე იყო მამაზე და ამიტომ ქეთო ყოველდღე დადიოდა იმის სანუგეშებლად. ამოვიდა თუ არა მზე, ზურაბ ქართველამე მივიდა გზის პირად, ამოეფარა ხეების ჯგუფს და დაიწყო ცქერა იქითკენ, საიდანაც ქეთოს უნდა გამოევიდა. ქართველამის პირდაპირ გზის იქით ამართული იყო დიდი სერი, რომელიც იმ სოფელს ჰყოფდა ორად, ქვემო და ზემო უბნად. ქეთოს ქვემო უბნიდან უნდა ამოევიდა ამ სერსა და ტყეს შუა და ასულიყო ზემო უბანში. ლოდინში კარგა ხანმა გაიარა, ასე რომ ზურაბმა იფიქრა, ვაი თუ ქეთო სულაც არ ფიქრობდეს ზემო უბანში ავლასაო. მაგრამ, აგერ, შორს გამოჩნდა ქალი, ახლად შეღერებული, თამამად მომავალი და ლეკურად ჩაცმული. ზურაბი თვალეზად გადაიქცა და გულის ცემამ მოუმატა. ქალი თანდათან მოუახლოვდა და ზურაბი ისე შეაცქერდა, თითქო თავისი მშვიერი თვალით მისი შეჭმა უნდოდა. ქეთოს ცოტა იერი შესცვლოდა, გაზრდილიყო ბევრად დიდი თავის ხანზე, მაგრამ ფერი და პირსახე სულ პატარაობისავე, უწინდებური შერჩენოდა.

მამის გული უზომო სიხარულით აივსო, როცა თავისი ქეთო ისევ ქართველ ქალად იცნო. ქეთომ მიატანა იმ ხეებს, რომელთაც ზურაბი ამოჰფარებოდა, ამან იდროვა და წინ გადაუდგა ფრთხილად, რომ არ შეეშინებინა. ქეთო შეკრთა, დაფრთხა და შველივით განზე გახტა.

— ნუ გეშინიან, შვილო, შენი მამა ვარ, მოვედი აქა, რომ დედასთან წაგიყვანო, შინა, — უთხრა ზურაბმა ტკბილი მამობრივი ხმით. ქეთო შიშით ისმენდა უცნაურს სიტყვებსა და ვერ გაეგო, რა უნდოდა მისგან ამ უცხო კაცს. ზურაბმა იფიქრა, თუ ლაპარაკში დრო დაგვარგე, ვინმე მოგვასწრებს და საქმე წახდებო; ამიტომ სწრაფად მივიდა ქეთოსთან, ფრთხილად დაავლო ხელი და გაიტაცა ტყისკენ. ქეთომ შექმნა საშინელი წივილ-კივილი. სოფელში გაიგონეს ეს წივილ-კივილი, მაგრამ ვისი იყო ან საიდან მოდიოდა, პირველ ხანებში ვერ შეიტყვეს. სოფელი შეჩოჩქოლდა და რამდენიმე კაცი წავიდა ნაიბთან. ის სხვაგან იყო და ამიტომ დროზე ვერ შეატყობინეს. როცა უთხრეს ეს ამბავი, საშინლად შეწუხდა და თქვა: უთუოდ ქალი მომტაცა ქართველადემამო. და მდევარი დაიბარა. ფიცხლავ შეიკრიბა ოცდაათი შეიარაღებული ვაჟკაცი. ვაშლოვანისაკენ სამი გზა მიდიოდა. მდევარნი ნაიბმა სამად გაჰყო. ათი ვაჟკაცი გაგზავნა ერთს გზაზე, ათი მეორეზე და ათიც თვითონ გაიდევნა მესამე გზაზე. სამივე რიგმა მდევარმა თითქმის ვაშლოვანამდე უწია, მაგრამ ზურაბისა და ქეთოს კვალს ვერ მიაგნეს; ისინი, თითქოს მიწაში ჩაძვრნენ და გაჰქრნენ. საქმე ის იყო, რომ ზურაბმა თავისი ქალი ვაშლოვანისაკენ როდი წამოიყვანა, რადგანაც იცოდა კარგად, რომ მდევარი აქეთკენ დაედევნებოდა. ის დაადგა ჩრდილოეთის გზას, რომელიც კახეთის ზემო სოფლებისაკენ მიდიოდა, შორს მოვლა არჩია, რომ შინ მშვიდობით მისულიყო, მაგრამ ვაი ამ მშვიდობას.

ქეთო საშინლად იტანჯებოდა რომ პირველ ხანებში ქეთო ვერც იცნობდა თავის მამას და მწუხარე იქნებოდა, ამის ფიქრი ჰქონდა ზურაბს. ხოლო ამასთან დარწმუნებული იყო, რომ ქეთო მალე მოვიდოდა გონს, იცნობდა ჯერ თავის მამას, მერე დედას, თავის ბავშვობა მოაგონდებოდა და მოიძხიარულებდა, მაგრამ საშინლად მოტყუვდა. ქეთოს მწუხარებას

მთელი მგზავრობის დროს საზღვარი არა ჰქონდა. მას განუწყვეტლივ ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები თვალებიდან და ისე ოხრავდა, თითქოს ლამობს გულ- ღვიძლი თან ამოატანოსო. მამა საშინლად იტანჯებოდა თავის ქალის ამისთანა მდგომარეობით; ცდილობდა,

როგორმე გაექარვებინა მისი ნაღველი, მაგრამ ტყუილად. ყოველი მისი ალერსი ქეთოს მწუხარებას უფრო უმატებდა. ის უყურებდა ზურაბს, როგორც თავის მოსისხლე მტერს, რომელმაც მოაშორა საყვარელ დედ-მამას, სანატრელ სამშობლოს და სადღაც მიჰყავს ტყვედ. ამიტომ ყოველი მისი ტკბილი სიტყვა და თანაგრძნობა ლახვარივით ესობოდა გულში. ზურაბს ისღა ანუგეშებდა, რომ ეგება შინ მისვლამ მოიყვანოს ქეთო გონს, იცნოს დედა, თავისი კარ-მიდამო, სოფელი და ჩვენსკენ მოუბრუნდეს გულიო.

ამ აზრით იყო ზურაბი დაიმედებული, როცა თავის სახლის კარები შეაღო, შეიყვანა შიგ ქეთო და თავის ცოლს მხიარულად უთხრა: — “აი, მაგდან, მოგიყვანე შენი ქეთო!” — სიხარულისაგან გატაცებული მაგდანი გაექანა შვილისაკენ, მაგრამ სიმხიარულე სიმწუხარედ გადაექცა, როცა დააცქერდა თავისი შვილის სახეს, რომელზედაც

გამოუთქმელი ტანჯვა იხატებოდა. მაგდანმა მხიარულად ჩაიკონა გულში ქეთო, უნდოდა გაექარვებინა მისი მწუხარება, მაგრამ ამაოდ. ქეთო ყინულივით ცივად, ქვასავით უგრძნობლად იყო და არავითარი გავლენა არ იქონია მასზე მაგდანის მხურვალე დედობრივმა მიგებებამ და ალერსმა. არა, იქონია, მაგრამ სრულიად წინააღმდეგი მოსალოდნელისა. მაგდანის ალერსმა ცოცხლად თვალწინ წარმოუდგინა ქეთოს მისი დედობილის, ნაიბის ცოლის სახე და ალერსი. ვარამი უფრო კიდევ გაუძლიერდა და მდულარე ცრემლის ნაკადული გადმოსკდა თვალებიდან.

— შენი მშობელი დედა ვარ, შვილო! ესეც შენი ღვიძლი მამაა, — ეუბნებოდა მაგდანი ქეთოს. — აი, სახლი, რომელშიაც შენ დაიბადე, დაცუცუნებდი პატარაობის დროს, აი, შენი პატარა აკვანი, რომელშიაც იწექი, აი, შენი საყვარელი ბაღჩა, რომელშიაც დილიდან საღამომდის

იჯექი მაგრამ ქეთოს აქაურობისათვის არც თვალი ჰქონდა და არც ყური. მისი გრძნობა და გონება მთლად, განუწყვეტლივ, შეპყრობილი იყო უღრმესი დარდითა და ვარამით. მაგდანი მაინც იმედს არ ჰკარგავდა, რომ ქეთო დღეს თუ ხვალ მოიგონებდა თავის პატარაობას, იცნობდა მშობლებს და დაუბრუნდებოდა მათ. გავიდა რამდენიმე კვირა და ეს იმედი დედ-მამას არ აუსრულდა. ქეთო თითქმის არას სჭამდა, სმითაც ცოტას სვამდა. ღრმად ოხრავდა, ხშირად ტიროდა და ღამითაც ძილი, მოსვენება არა ჰქონდა. ჩამოხმა, გაყვითლდა და მომაკვდავს დაემსგავსა. ის იჯდა ტახტზე ჩუმად, უმეტეს ნაწილად თვალედახუჭული, და მისი გონება ფრინავდა იქ, დაღესტანში, ნაიბთან და იმის ცოლთან, თავის ტოლ-ამხანაგებთან და იქაურ სოფელთან. რაც გარშემო ერტყა, ყველა ეუცხოვებოდა, ყველას ითვალწუნებდა, ყველა თავის მტრად მიაჩნდა, ყველა ეჯავრებოდა, სძულდა. ბევრგვარი ხერხი იხმარეს, რომ მოეგონებინათ როგორმე პატარაობა. დედამ რამდენჯერმე მიიყვანა ტყეში სწორედ იმ ადგილას, სადაც მოიტაცეს, მიიყვანა საღამოს იმ ჟამს, როდესაც მოიტაცეს. მიიყვანა წყაროს თავზე, სადაც ქეთო ხშირად იჯდა ხოლმე თავის გამდელთან და უყურებდა, როცა სოფლის დედაკაცები კოკებს ავსებდნენ, იკიდებდნენ მხარზე და მიჰქონდათ. აჩვენა ყველა მეზობლის ქალები, ქეთოს ტოლები, რომლებთანაც ის პატარაობისას ხშირად თამაშობდა, დაიბარა მისი გამდელი სხვა სოფლიდან, რომ ეგები ის მაინც ეცნო. აჩვენა მისი დედოფლები, რომლებიც ყუთში მთლად შენახული ჰქონდა, რამდენჯერმე მიაქცია ქეთოს ყურადღება ეკლესიის ზარის რეკვასა, რომელსაც პატარაობისას ქეთო ტაშის კვრას აყოლებდა, მაგრამ ვერც ერთმა ღონემ ვერ გასჭრა. დედ-მამამ ქეთოს შეუკერა ისეთი მშვენიერი ქართული ტანისამოსი, რომ ყველა ყმაწვილ ქალს თვალი ზედ დარჩებოდა, მაგრამ ქეთომ ახლოც არ მიიკარა და კიდევ უფრო შეუყვარდა ამის შემდეგ თავისი ლეკური ტანისამოსი... ბოლოს, ერთმა მეზობელმა უთხრა მაგდანს: — ქეთო შენ ძლიერ გგავს, სულ პირწავარდნილი დედაა. დადექ თქვენი დიდი სარკის წინ და დაიყენე გვერდით ქეთო. ის ჩაიხედავს სარკეში, შეადარებს ორ სახეს, თავისა და

შენს სახეში დიდ მსგავსებას ნახავს და იქნება მაშინ გეშველოთო. მაგდანმა ესეც სცადა, მაგრამ ამან ქეთო უფრო გააოცა, როგორც უცნაურმა ქცევამ მაგდანისამ. სახეებს ხეირიანადაც არ შეხედა და მსგავსებას ხომ სრულიადაც ვერ შეამჩნევდა. ყმაწვილი ქალი დედ-მამას ხელიდან ეცლებოდა, უავადმყოფოდ ჭკნებოდა, დნებოდა და სიკვდილამდე პატარა მანძილიღა ედო.

— არა, მე ველარ ვუცქერ ამ ბავშვის ამდენ ტანჯვას და წვალებას: თუ რამდენისამე დღის განმავლობაში პირი ჩვენსკენ არ იბრუნა, შევსვამ ცხენზე და ჩემის ხელით ავუყვან ნაიბსა და იმის ცოლს. ეტყობა, ღირსეული ადამიანები ყოფილან, რომ აგრე შეუყვარებიათ თავი ჩვენი ღვიძლი შვილისათვის, — უთხრა ზურაბმა თავის ცოლს მაგდანსა. ხოლო მაგდანი ესე ადვილად ვერ დასთმობდა ქეთოსა, და მზად იყო ისევ თავის ახლო დაემარხა თავისი ერთადერთი შვილი, ვიდრე გაეგზავნა ხელმეორედ და სამუდამოდ დაღესტანში.

იავნანამ რა ჰქმნა?

ამასობაში გავიდა აპრილი და დადგა მშვენიერი მაისი. პირველსავე რიცხვში ზაფხულურად მოიღრუბლა და გაჩნდა ჭექა-ქუხილი. საღამომდის იდინა ხშირმა და გამაცოცხლებელმა წვიმამ, საღამოზე კი ისე მოიწმინდა ცა, რომ ერთი ნაფლეთი ღრუბელიც არსად იყო. კამარა მთლად ბრწყინვალე ვარსკვლავებით მოიჭედა. დატრიალდა მეტად შეზავებული ჰაერი, უთუოდ ეს იყო მიზეზი, რომ ქეთოს იმ ღამეს მშვიდობიანად ეძინა. მეორე დღეს ადგა ცოტა მოღონიერებული.

შეუდარებელი დილა იყო: არემარეს კაშკაშა მზისაგან თავს დასდიოდა მთელი შადრევანი ბრწყინვალე სინათლისა და ამ სინათლეს მცენარეებზე ათასფრად აებრჭყვიალებინა დილის ნამი. ტყე სავსე იყო ფრინველების გამაცოცხლებელი ჟივილ-ხივილით. ქართველადიანთ ბაღში ვარდის კოკრები საამურად გადაშლილიყო და გარშემო მოეფინა გულწარმტაცი სურნელება. ამ ვარდების მახლობლად ტკბილად დასძახოდა ბულბული, რომელიც იქვე ხეზე მოთავსებულიყო. ბუნება

ხარობდა, დღესასწაულობდა, თითქოს ათას ბედნიერს ქორწილს ერთად იხდისო.

ბუნება შეუდარებელი მკურნალია კაცის ვარამისა და დარდისა. შვება მისცა მან ქეთოს ნალვლიან გულსაცა, და სახეზე მას აშკარად დაეტყო შემცირება იმ საშინელის მწუხარებისა, რომელიც აქამდის მაჯლაჯუნასავით აწვა ამის გულსა და გონებას და ნებას არ აძლევდა გარემოცულ ცხოვრებაზე დაფიქრებულიყო. ამასთან ქეთომ პირველად დაიწყო ფიქრი იმაზე, რისთვის და რად მიჩვენებენ ამდენ სიყვარულს უცხო ადამიანები და რადა სწუხან ჩემს მწუხარებაზედაო. დედამ ადვილად შეამჩნია ქეთოს ეს სანუგეშო ცვლილება. იმედი მიეცა. ცალკე ამ იმედმა და ცალკე მშვენიერმა დილამ კარგ გუნებაზე მოიყვანა მაგდანი და მან, სრულიად უნებურად, თავისთვის დაიწყო ღიღინი იავნანისა. რაც ქეთო დაჰკარგა, მას შემდეგ მაგდანის სიმღერის ხმა აღარავის გაუგონია. ეს პირველი სიმღერა იყო ათი წლის დუმილის შემდეგ. მაგდანი ფანჯარასთან იჯდა, ქეთო იყო მოთავსებული პატარა ტახტზე ოთახის კუთხეში. იავნანას მაგდანი ჯერ დაბალი ხმით, ღიღინით ამბობდა, მერე კი თავის ხმის სიმშვენიერემ გაიტაცა და თავისებურად დაამღერა, მაღლა აუწია. პატარა ხანს უკან, ისე, უნებლიეთ, გაიხედა ქეთოსკენ და გაოცდა. ქეთოს აშკარად ეტყობოდა სახეზე აღელვება. ცხადი იყო, რომ რაღაცას იგონებდა და ვერ-კი მოეგონებინა გარკვევით. მის ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დამარხული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერ-კი გამოეღვიძა. გონების ძირიდან რაღაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქვას, მაგრამ ზევიდან კეც-კეცად აწვნიენ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ მაღლა ამოსვლას. მაგდანმა ეს კარგად შეამჩნია და თავის ხმას მისცა საოცარი მეტყველება და მიმზიდველობა. უწინ ამგვარი სიმღერით და ამავე ხმით ყოველდღე უტკბობდა მაგდანი თავის ქეთოს სიპატარავის დღეებს. მაგდანის ხმამ უწია ქეთოს ბუნების სიღრმემდის, შესძრა ის ძირიანად და გააცოცხლა იქ დამარხული ბავშვობის სანატრელი ნაშთნი, საგონებელნი. მაგდანი თან ხმას აძლევდა მომხიბლავს ძალას და თან ქეთოს შესცქეროდა უსაზღვრო დედობრივი სიყვარულით. ქეთოც

თითქმის სჭამდა თვალთ დედის პირისახესა და მღელვარებით ცდილობდა ამ სახეზე ამოეკითხა რაღაც დიდი საიდუმლო და კიდევ ამოეკითხა. ქეთოს აღელვებული სახე თანდათან დაწყნარდა, პირისახიდან მთლად გადაეყარა შავი ღრუბელი. განსაზღვრული სხივის ნათელი მოეფინა სახეზე და სიხარულის სხივმა დაუწყო მასზე ელვარება. უცებ წამოვარდა ქეთო ტახტიდან, დაიძახა სანატრელის ხმით: — “დედავ!” სწრაფლ მივარდა მაგდანთან, მოეხვია ორივე ხელით და მხურვალედ დაუწყო კოცნა. დედასა და შვილს თქრიალით მოსდიოდათ ცრემლი, მაგრამ ეს ცრემლი იყო სიხარულისა, შვებისა, ლხენისა. პატარა ხანს უკან ზურაბმაც შემოალო კარები, ქეთო განთავისუფლდა დედის ხვევნიდან, მიეგება შემოსულს, დაიძახა: — “მამა!” და მოეხვია. შემდეგ გაბრუნდა დედისაკენ, წაავლო ხელი, გაიყვანა მეორე ოთახში, დაიყენა თავის გვერდით დიდი სარკის წინ, სიყვარულით გადაავლო თვალი, მაგრამ რაღაცამ აზრი შეუშალა. სწრაფად მოშორდა სარკეს, შეირბინა მეორე ოთახში, გაალო ყუთი, ამოიღო თავის ახალი ქართული ტანსამოსი და ლეკურის მაგივრად ჩაიცვა. შემდეგ ისევ მიიყვანა გაოცებული დედა სარკესთან, დაუდგა გვერდით, შეადარა სახეები, აშკარად დაინახა რამდენად ჰგავდა დედას, მიუბრუნდა მას, ჩამოეკიდა ყელზე და ხელახლა დაუწყო კოცნა. უწინ ამისთანავე მოქმედებამ მაგდანისამ გააოცა, ახლა კი იგივე მოქმედება თვითონ ჩაიდინა. მერე დედას აახდევინა დედოფლების ყუთი და სიყვარულით მიუალერსა თავის უწინდელს მეგობრებს.

ერთმა მოგონებამ მეორე გამოიწვია, მეორემ მესამე, მესამემ მეოთხე, და ქეთოს სარკესავით გადაეშალა თვალწინ თავისი სიპატარავის დრო. აქამდის ის დაჰყავდა დედას აქეთ-იქით ძალაუნებურად, ახლა კი თვითონ ქეთო მოსვენებას აღარ აძლევდა დედასა და მიჰყავდა ხან ბაღჩაში, წყაროს თავზე, ხან ტყეში და სოფლის არემარე სულ შემოიარა. მოიგონა ქართული ენაც, თუმცა სიტყვები ბლომად აკლდა, ლაპარაკის დროს ჩერდებოდა, ან ლეკურ სიტყვებს ურევდა და ამ დროს დედა ქართულ სიტყვებს ასწავლიდა. აღმოჩნდა, რომ პირველი წლების

შთაბეჭდილებანი და ჩასახულებანი კი არ გამქრალიყვნენ და არ წაშლილიყვნენ ქეთოს გონებაში, თურმე, ღრმად ეძინათ, დამარხული იყვნენ მისი სახსოვრის სიღრმეში, ძირში, როგორც მცენარის თესლია დამარხული მიწაში, და ზევიდან მათ ეფარათ მთელი ათი წლის ნანახი და ნაცადი დაღესტანში ყოფნის დროს. ამ ჩასახულებათა დაძვრა და გამოღვიძება შეეძლო მხოლოდ რომელსამე ძლიერსა და ღრმა შთაბეჭდილებას სწორედ ისე, როგორც მცენარის თესლს ზევით ამოიყვანს ხოლმე გამაცოცხლებელი მზის სითბო-სინათლე. ამისთანა მზეებრივი შთაბეჭდილების მოხდენა ქეთოს გონებაში შესძლო მხოლოდ სამშობლო ხმამ, საბავშვო სიმღერამ: “იავნანამ”, რომელიც ყველაზე უფრო ღრმად ჰქონდა ქეთოს ძვალსა და რბილში გამჯდარი. ყოველი ვაშლოვანელი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, გახარებული იყო ქეთოს გონზე მოსვლით. მოდიოდნენ და ულოცავდნენ მაგდანსა და მის ქმარს და შეჰხაროდნენ ქეთოს. ქართველადის სახლში სიხარული ტრიალებდა. ამ ძლიერ სიმხიარულეს სწორედ შეჰფეროდა და ბანს აძლევდა ხშირი სიმღერა მაგდანისა. როგორც დიდხანს უწყლოდ ყოფილი შველი, ხარბად ეწაფება წმინდა წყალსა და გაძლომა მალე არ ეკიდება, ისე ქეთო, მთელს ათს წელიწადს მოკლებული თავის უსაყვარლეს სიამოვნებას, გაუმაძღრად ეწაფებოდა დედის სიმღერას და მაგდანს მოსვენებას არ აძლევდა. ერთ ხმას რომ გაათავებდა მაგდანი, ახლა მეორეს ათქმევინებდა, მერე მესამეს, მეოთხეს, ხშირად მაგდანი ეტყოდა ხოლმე: — გენაცვა, შვილო, ცოტა დამასვენე, თორემ არაქათი აღარ მაქვსო. მაგრამ ქეთომ უებარი წამალი იცოდა ამ დაღალულობისა: მხურვალე ხვევნა და კოცნა დედისა. ქეთო თანა სტკბებოდა დედის მშვენიერი სიმღერით და თან თვითონაც სწავლობდა სიმღერას.

ქეთო და მისი დედობილ-მამობილი ერთხელ, როდესაც ქეთომ გული იჯერა ახალი ცხოვრებით, ჰკითხა დედას: — დედილო, გენაცვა, არ შეიძლება, რომ დაღესტანში მოკითხვა ვისმე პირით შევთვალო?

მაგდანს ეს სიტყვა არ ესიამოვნა და შეკრთა.

— ფიქრი ნუ გაქვს, დედა! — შვილებრივი სიყვარულით უთხრა ქეთომ.
— შენ და მამაჩემი მიყვარხართ, როგორც ღვიძლი მშობელნი, იმათ კი პატივსა ვცემ, როგორც ჩემს მოამაგეთ და ჩემს აღმზრდელთ. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ვინ იცის, ვის ხელში ჩავვარდნილიყავ და რა მომსვლოდა. მოკითხვა შეუთვალეს ნაიბს და მის ცოლს საგანგებოდ გაგზავნილი კაცების პირით და ძღვნადაც გაუგზავნეს ჩინებული კახური ღვინო, რომელსაც მაშინდელი ლეკები კახელებზე ნაკლებად არ ეწყობოდნენ.

ზაფხული გადიოდა. დედა ატყობდა, რომ ქეთოს ძლიერ უნდოდა ნახვა თავისი დედობილ-მამობილისა, მაგრამ არ კი ამბობდა ამას. ერთხელ მაგდანმა უთხრა ქეთოსა: — იცი, ჩემო კარგო, რა აზრი მომივიდა? ახლა რთველი ახლოვდება, დაღესტანში ვენახები არ არის და რთველი იქ არ იცის. მოდი, რთველში მოვიწვიოთ შენი დედობილ-მამობილი და ვასიამოვნოთ, სიკეთეს გადახდა უნდა. — მადლობის ნიშნად ქეთო დედას მხურვალედ გადაეხვია.

ნაიბსა და იმის ცოლს ძალიან უნდოდათ ქეთოს ნახვა, ამიტომ რთველში მოწვევამ გაახარა და დანიშნულ დროზე ეწვივნენ თავის შვილობილის დედ-მამას. დედ-მამის ნებართვით ქეთო თავის დედობილ-მამობილს ლეკური ტანისამოსით მიეგება. ქეთოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც ერთად ხედავდა ოთხ ძვირფას თავისიანს, რომელნიც გულითა და სულით უყვარდა.

ზურაბი და ნაიბი დამეგობრდნენ, მაგდანმაც გულით შეიყვარა ნაიბის ცოლი და ამიტომ ყოველ შემოდგომაზე მათი რთველში მოწვევა წესად დასდეს. ეს წესი არ შეცვლილა მას უკანაც, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ქეთო გათხოვდა დედის სამშობლოში და ჯვარი დაიწერა ერთ ღირსეულ ქართლელ ვაჟკაცზე. ყოველ ენკენისთვეში ქართველამეს ქართლიდან ეწვევოდნენ ხოლმე ქალი და სიძე, დაღესტნიდან ნაიბი ცოლით და ამალით. არა გვგონია, რომ ვისმე თავის სიცოცხლეში რთველი ისეთი სიამოვნებითა და ბედნიერებით ეტარებინოს, როგორც ატარებდა ქეთო.

ქეთოს ბედნიერება

მაგრამ განა მარტო რთველობის დროს იყო ქეთო შვებითა და ლხენითა? არა, სხვა დროსაც. ბრძენნი ამბობდნენ და ამბობენ, რომ საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გულიაო.

ძლიერი, წმინდა სიყვარული მოყვასისადმი, თვით მოსიყვარულესაც უტკბობს სიცოცხლესა და მოყვასსაცაო. სიმდიდრეც შეიძლება ადვილად დაჰკარგოს ადამიანმა, სიმართლესა და სილამაზესაც მოაკლდეს, ნათესავეებიც შეიძლება უდროოდ დამარხოს, მაგრამ მოსიყვარულე გული კი ათბობს და ანათებს მის სიცოცხლეს თვით სამარის კარამდისაო.

ქეთოს დედისგან დაჰყვა მეტად მოსიყვარულე გული, და ამ გულს ძლიერ მოუხდა იშვიათი მისი თავგადასავალი. ამ თავგადასავალმა ძლიერნი მოძრაობანი გამოაცდევინა ქეთოს გულს და ავარჯიშა იგი. ღრმა გრძნობანი გულისა ჯერ დედ-მამის სიყვარულზე აღიზარდნენ, მერე ძლიერ ჯავრზე, რომელიც გამოაცდევინა მას მოტაცებამ ლეკების მიერ, შემდეგ დედობილ-მამობილის სიყვარულზე. მას უკან ფრიად ღრმასა და ხანგრძლივს ნაღველზე, რომელიც მოჰყვა მამისაგან მოტაცებას, მას შემდეგ სიყვარული ღვიძლი დედ-მამისა და დედობილ-მამობილისა ერთად შეერთდა ქეთოს გულში, ბოლოს ამას დაემატა ღირსეული ქმრისა და შვილების სიყვარული, და ამ სახით ქეთოს გული გახდა დაუშრობელი წყარო კაცთმოყვარებისა, გაუქრობელი ლამპარი სიყვარულისა მოყვასისადმი. ქეთოს, გამომცდელს ცხოვრებაში დიდი ნაღველისაცა და ძლიერი სიხარულისაც, ყოველთვის და ყოველგან ჰქონდა ტკბილი ალერსი ყველა ბავშვისათვის, ცრემლი უბედურთათვის, ნუგეში დაჩაგრულთათვის, შემწეობა გაჭირვებულთათვის, მოწყალება გლახაკთათვის. მას თავისიანად მიაჩნდა ქართველებიც და ლეკებიც, საქართველოც და დაღესტანიც, და რადგან სიყვარული შობს სიყვარულს, ამიტომ ქართველები და ლეკები, თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო მეტს პატივისცემას, მეტ ხათრსა და მეტ სიყვარულს უჩვენებდა ქეთოს. ქეთო თავისი მოსიყვარულე გულით გარშემო ჰფენდა ლხენასა და შვებასა, როგორც ვარდის აყვავებული ბუჩქი ჰფენს თავის

გარშემო საამურ სურნელებას, და როგორც ამ ბუჩქს ყველა შეჰხარის, ყველას უყვარს, ისე ყველა შეჰხაროდა და ყველას უყვარდა ქეთო, რომელიც ერთსა და იმავე დროს სტკბებოდა თავისი სიყვარულით მოყვასისადმი და მოყვასთა სიყვარულით თავისადმი. უკეთესილა ბედნიერება განა იქნება ამ ქვეყანაზე?

ასპინძის ომი

მამული ვედარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს, დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს.

გრ. ორბელიანი

1. შესავალი

მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა განთიადის წინ. ლაჟვარდის ფერი გაუზომელი გუმბათი მოჭედილია ბრწყინვალე ვარსკვლავებითა და ესენი განუწყვეტლივ ებრძვიან ღამის სიბნელესა და ჰფენენ დაუსრულებელს სივრცეში სინათლესა და ლხენასა. ამ სასიქადულო ქვეყნის სამსახურში ყველაზე მეტად დაწინაურებულია ორი მნათობი: ცისკარი და ხარისთვალა. ესენი ჩვენს დედამიწას ისე უხვად უგზავნიან სინათლესა, რომ ბნელს ღამეს ამსგავსებენ ნათელს დღესა. ქება და დიდება ცის მნათობებსა და უპირველესად ყოვლისა მათ შემოქმედსა.

ასეთსავე საოცარს სამზერს წარმოადგენს სამოცდახუთის წლის მეფობა წარსულს საუკუნეში ერეკლე მეორისა, ანუ “პატარა კახისა”. იგი დაუსრულებელი ბრძოლაა სინათლისა სიბნელესთან, თავისუფლებისა მონობასთან, ბრძოლა, სავსე საოცარი ვაჟკაცობით, მრავალის ბრწყინვალე გამარჯვებათ შორის ორი კაშკაშებს განსაკუთრებული შუქითა. ერევნისა და ასპინძის ომი — აი ხარისთვალა და ცისკარი ერეკლეს სამხედრო მოქმედებაში.

პირველს — ერევნის — ომში ჩვენი სახელოვანი მეფე სამი ათასი კაციით შეებრძოლა თვრამეტ ათას სპარსელს ჯარსა, თავისი ხელით მოუკლა მას

ერთი საუკეთესო წინამძღოლთაგანი, შიშის ზარი დასცა მტერსა, სძლია იგი, დააყრევინა ბევრი ზარბაზანი, წაართვა მრავალი სიმდიდრე და საშინლად დამარცხებული გააქცია.

მეორე — ასპინძის — ომში ისე იჩინა თავი, ისეთი საოცარი ვაჟკაცობა და სამხედრო ხელოვნება გამოიჩინა, რომ მთელი ევროპა გააცვიფრა, აღტაცებაში მოიყვანა თვით ფრიდრიხ დიდი, პრუსიის უძლეველი მეფე, და სახელად დაერქვა “ასპინძის გმირი”. ქება და დიდება ერეკლე მეფის სახელსა და დღეგრძელობა მის დამბადებელს და აღმზრდელს ქვეყანასა!

2. იმპერატრიცა ეკატერინე და ერეკლე მეფე

მე ამ ჟამად მწადია მოგითხროდ ამბავი მხოლოდ ასპინძის ომისა.

1769 წელსა რუსეთის იმპერატრიცამ ეკატერინე მეორემ ომი გამოუცხადა ოსმალეთსა. ამავე დროს მისწერა ქრისტიან ხალხებს, რომელნიც შავ ზღვას იქით ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, რომ ისინიც შეიარაღებულიყვნენ, რუსეთისათვის მხარი დაეჭირათ და გალაშქრებულიყვნენ ოსმალეთზე, ამ ქრისტიანობის მტერზედა. ესევე მოსწერა იმერეთის მეფეს სოლომონსა და ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლესა. ბერძნებს, ჩერნოგორელებს, სერბიელებს, ბოლგარელებს და სხვა ხალხებს ბალკანეთის ნახევარკუნძულისას ეშინოდათ ოსმალეთისა და ყური მოიყრუეს, ომში მონაწილეობა არ მიიღეს. სრულიად სხვარიგად მოიქცა ერეკლე მეფე. მაშინვე შეუდგა სალაშქრო მზადებას და ომიც გამოუცხადა ოსმალეთსა. ესე მოიქცა ჯერ იმიტომ, რომ უნდოდა ეამებინა ეკატერინესათვის და რუსეთთან კავშირი განემტკიცებინა, და მეორე იმიტომ, რომ ამ ომიდან ის თავისი სამეფოსათვის დიდს სიკეთეს

მოელოდა. ჯავახეთი და ახალციხის მხარე, ქართველი ტომით დასახლებული, უძველესი დროიდან საქართველოს ეკუთვნოდნენ; მაგრამ იმის წინა საუკუნეში ოსმალეთმა ისარგებლა საქართველოს სისუსტით, ეს ქვეყნები გამოჰგლიჯა ხელიდან და დაისაკუთრა. და აი, ერეკლეს ეწადა რუსეთის ჯარის დახმარებით წაერთმია ეს ორი მხარე

ოსმალეთისათვის და შემოეერთებინა საქართველოსთანა.

უფრო კიდევ მომეტებული სიამოვნებით მიემხრო რუსეთს სოლომონ მეფე, რომელიც უამისოდაც ებრძოდა ოსმალეთსა.

3. ერეკლე მეფე და ტოტლებენი

სოლომონ მეფის და ერეკლეს მოსაშველელად იმპერატრიცა ეკატერინემ რუსეთიდან გამოგზავნა ოთხი ათასი ჯარისკაცი, გენერალის ტოტლებენის

წინამძღოლობით. ეს ჯარი გადმოვიდა კავკასიონის ქედზე სამხედრო გზით, გაიარა ქართლი და დაიბანაკა სურამსა. ერეკლემაც მალე შეჰკრიბა შვიდი ათასი კაცი, წაიღო სამი ზარბაზანი და წაიყვანა თან თავისი მემკვიდრე გიორგი და ორი ეპისკოპოზი მოძრავი საყდრითურთ... შეერთება ჩვენისა და რუსეთის ჯარისა მოხდა სურამთან. აქედან შეერთებულმა ლაშქარმა გასწია ბორჯომის ხეობისკენ ოსმალებთან საბრძოლველად. ეს იყო 1770 წლის აპრილის დამდეგსა. გზაზე მოულოდნელად ჩამოვარდა განხეთქილება ერეკლესა და ტოტლებენს შორის... რა იყო ამის მიზეზი? ტოტლებენს უნდოდა ხელში ეგდო შეერთებულის ქართველ-რუსთა ჯარის უფროსობა და თავის ნებაზე წაეყვანა საქმე. ერეკლე კი ჰფიქრობდა, რომ წინამძღოლობა და ბატონობა მე მეკუთვნის, როგორც მეფესა და გამოცდილ სარდალსაო. განხეთქილებამ თანდათან იმატა და სიძულვილად გადაიქცა. შეერთებული ჯარი მაინც წინ მიდიოდა, გაიარა ტაშის კარი, შევიდა ბორჯომის ხეობაში, ასცილდა ბორჯომსა და მიადგა აწყურის ციხესა, რომელსაც იცავდა ოსმალეთ-ლეკების ჯარი. ძველი აწყურის ციხე, აქამომდე დარჩენილი, აშენებულია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მიუვალს კლდეზე; აქვს მეტად განიერი და მაგარი კედლები და მისი აღება ძლიერ ძნელი იყო იმ დროს. ერეკლე მეფე იმ აზრზე იდგა, რომ აწყურისა და ახალციხის ციხეებისათვის მხარი აექციათ, გარეშე მყოფი ჯარი მტრისა დაემარცხებინათ, სადაც კი შეხვდებოდათ, გარშემო ქვეყნები დაეჭირათ, მეციხოვნე ჯარები გაემარტოებინათ, საქმელ-

სასმელის მიწოდება შეუძლებელი გაეხადნათ და სიმშილ-წყურვილით ბოლოს და ბოლოს დაემორჩილებინათ. ტოტლებენს კი დიდი იმედი ჰქონდა თავისი ზარბაზნებისა და ჯიუტად ამტკიცებდა, რომ უკეთესი იქნება ჯერ ციხეები აწყურისა და ახალციხისა ავილოთ და მერე ეს ქვეყანა დავიპყროთ. ერეკლე იძულებული შეიქნა უნებლიედ დათანხმებულიყო, ალყა შემოარტყეს აწყურის ციხესა. ერთი მხრით მიადგა ქართველი ჯარი, მეორე მხრით რუსთა ჯარი თავისი ზარბაზნებითა. ამათ ასტეხეს ხშირი სროლა ზარბაზნებისა და თოფებისა; ციხის ზარბაზნებმა და ჯარმაც პასუხი გასცეს და გაჩაღდა ჭექა-ქუხილი, რომელსაც გარშემო ხეობა ბანს აძლევდა. მთელი ორი დღე იომეს ამგვარად და ციხეს ცოტაოდენი ზიანიც არ მისცემია. მისი უმაგრესი კედლებიდან ისე ცვიოდა მოხვედრილი ტყვია, როგორც სახლის კედელსა სცვივა შეყრილი ცერცვი. მესამე დღეს უცებ მოახსენეს ერეკლეს, რომ ტოტლებენმა ჩუმად ციხეს თავი დაანება და თავისი ჯარით ქართლისაკენ გასწიაო. საშინლად განცვიფრებული მეფე დაედევნა უკან ტოტლებენსა, მოეწია და სთხოვა: ოღონდ უკან დაბრუნდი, ნუ მიღალატებ და მზად ვარ ჯარის უფროსობა შენ დაგიტმოვო და ყოველი შენი სურვილი აღვასრულოვო. ტოტლებენი უარზე დადგა. რა საბუთით? ჯერ სთქვა:ჯარისათვის საკმარისი სურსათი არა მაქვს, ცხენებისათვის, საკვებიო. ერეკლემ უპასუხა: გარშემო სოფლებში მყავს კაცები გაგზავნილი და იმდენს საჭმელს და საკვებს მოიტანენ, რომ თავზე საყრელი გექნებათო, ოღონდ უკანვე დაბრუნდით და მტერთან ერთად გავაგრძელოთ ომი. მერე სთქვა ტოტლებენმა: ბრძანება არა მაქვს ჩემი ხელმწიფისა ვიომო ახალციხის საფაშოშიო; მტერი მრავალია და ძლიერი, მე ჯარი ცოტა მყავს და საშიშია ომის გაგრძელებაო. ერეკლე მაინც ეხვეწებოდა, ტოტლებენი კი მხოლოდ ბოდბის იხდიდა მეფის წინაშე და დაბრუნებაზე კი ცივს უარს ეუბნებოდა. მაშინ ბატონიშვილი გიორგი, ერეკლეს უფროსი შვილი, მოთმინებიდან გამოვიდა და უთხრა თავისს მამასა: დაანებე თავი, წაეთრიოს სადაც უნდა, ჩვენ მარტონიც გავიმარჯვებთ მტერზე და მაგას

თავზე ლაფს დავასხამთო. ტოტლებენი ქართლისკენ გამოემურა, ერეკლე კი ისევ დაბრუნდა თავის ჯართანა. ერეკლე ასე ხსნიდა ტოტლებენის საქციელსა: ალბად მას იმედი აქვს, რომ მე ვითაკილებ უკან დახევასა, შევებრძოლები ოსმალთა ჩემი მცირე ჯარითა, დავმარცხდები, ჯარს დავკარგავ, მეც დავიღუპები ჩემი მემკვიდრითურთ და მაშინვე ჩემს სახელმწიფოში ბურთი და მოედანი მას დარჩებაო.

4. ნაყოფი ტოტლებენის ღალატისა

რუსთა ჯარის უკან მოქცევამ ძლიერ ცუდად იმოქმედა ქართველებზე. ესენი ისე გაბრაზდნენ, რომ კინაღამ საშინელი საცოდაობა არ დატრიალდა. ერეკლესთან შუაკაცად გამოგზავნილი იყო რუსეთიდან თავადი მოურავოვი, გარუსებული ქართველი, შვილი რუსეთში გადასახლებული ქართველისა. ეს მოურავოვი დაიბადა რუსეთში, იქ აღიზარდა და სამსახურშიაც იქვე შევიდა. მან რუსულის ენის გარდა ქართულიც იცოდა და ამიტომ კარგათ შეეძლო შუაკაცობა გაეწია რუსეთსა და საქართველოს შორის. ამ მოურავოვს თან ახლდნენ რუსის მოსამსახურენი და რამდენიმე კაზაკი. და აი გულმოსულნი ქართველნი ჯარისკაცნი მიესივნენ ამ რუსებსა და მათზე უნდა ეყარნათ ტოტლებენის ჯავრი. მაგრამ ერეკლემ და სხვებმა ჯარს აუხსნეს, რომ ტოტლებენი ჩამომავლობით რუსი არ არის, რომ იმან წინეთ რუსეთსაც უღალატა, რის გულისათვის კინაღამ დახვრიტეს, რომ რუსეთის აფიცრები და ჯარისკაცნი თვითონაც ძლიერ გულმოსულნი არიან თავის წინამძღოლზე, მაგრამ უნდა მორჩილობა გაუწიონ, როგორც თავის უფროსსაო. ძლივ-ძლივობით დააშოშმინეს ჯარი.

ტოტლებენის მოულოდნელმა საქციელმა სხვა შედეგიც დაბადა. ქართველი ჯარი საგონებელში ჩავარდა. ეტყობა, ოსმალს დიდი ჯარი ჰყოლია, რომ ტოტლებენს შეემინდა, ზურგი მტრისკენა ჰქნა და ქართლისაკენ გასწიაო. ამ შეძრწუნებითი სარგებლეს ოსმალებმა, უცებ გამოვიდნენ ციხიდან, დაესხნენ თავს ქართველებსა და თუმცა ბრძოლის შემდეგ უკუქცეული იქნენ, მაგრამ ოთხმოცამდე ქართველი ტყვედ შეიტაცეს ციხეში.

მდგომარეობა ძლიერ გაჭირვებული იყო. ხოლო სწორედ ამისთანა გაჭირვებულ შემთხვევაში გამობრწყინდებოდა ხოლმე ერეკლეს საოცარი გავლენა ჯარზე. რამდენიმე მარჯვე სიტყვით ერეკლე ყოველ თავის ჯარისკაცში სრულიად გააქრობდა ხოლმე შიშსა და ჩაჰბერავდა ვაჟკაცობის და მამაცობის სულსა, მხდლებსაც კი გმირებად გადააქცევდა ხოლმე...მეფემ დაუარა თავის ჯარსა, მოაგონა, რომ ქართველებს თავისი საკუთარი ძალ-ღონით და ვაჟკაცობით მრავალჯერ დაუმარცხებიათ ათჯერ და ოცჯერ მათზე მეტი მტერი, და ბოლოს უთხრა: ჩვენ ან უნდა გავიმარჯვოთ მტერზე, ან მთლად დავიხოცნეთ აქა. ისე დაბრუნება კი სამშობლოში ჩვენთვის თავზე ლაფის დასხმა იქნება. რა უნდა ვუთხრად ჩვენს დედებს, ჩვენს ცოლებს, ჩვენს დებსა, მთელს ქართველობას, როცა ხელცარიელნი მივალთ შინა. განა ამისთანა ლაჩრობა ქართველებს შეჰფერის? არა, ძმებო, ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც წინეთ მოვქცეულვართ, როგორც შეჰფერის ქართველთა მამაცობას და ვაჟკაცობას. წინ და არა უკან...

5. ქართველი ჯარი როკეტის გზაზე

თბილისიდან რომ გამოვიდა ერეკლე, მხოლოდ სამი ზარბაზანი წამოიღო თან, რადგანაც ტოტლებენის ზარბაზნების იმედი ჰქონდა, სამი ზარბაზნით კი აწყურის ციხის აღება ყოვლად შეუძლებელი იყო მოკლე ხანში... ერეკლე საგონებელში ჩავარდა და არ იცოდა, აწყურთან დარჩენილიყო დროებით, თუ წინ წასულიყო ახლავე. ამ დროს მას ჯავახებმა ამბავი მოუტანეს, რომ ოსმალოს ჯარი ასპინძის მოკლე გზით აპირობს მოეშველოს აწყურსაო.აქ საჭიროდ მიგვაჩნია გაუწყოთ, რომ ასპინძისაკენ აწყურიდან ორი გზა მიდიოდა: ერთი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მეორე მარჯვენაზე. პირველი გზა იყო შარა გზა, განიერი და სწორი, მაგრამ ძლიერ გრძელი. მას ერქვა ახალციხის გზა. ამ გზით რომ წასულიყო ერეკლე, ჯერ ახალციხემდის უნდა გაევილო ოცი ვერსი, მერმე ახალციხიდან აღმოსავლეთისაკენ ექმნა პირი, გაეარნა კიდევ ოცდაათი ვერსი და მისულიყო ასპინძასა. მეორე გზა მეტად მოკლე იყო, ასპინძამდის სულ ოცს ვერსს შეადგენდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ვიწრო

იყო, ოღროჩოღრო. უმეტესად მთა-მთა მიდიოდა და ძლიერ აბრკოლებდა თავისუფალს მოძრაობასა, სიარულსა. ერეკლემ ეს ძნელი გზა არჩია, რადგანაც მტერი თურმე ამ მოკლე გზით აპირებდა მოშველებოდა აწყურსა. ამ მოკლე გზას როკეტის გზა ერქვა, რადგანაც როკეტის მთაზე გადადიოდა.

6. ქართველი ჯარის განსაცდელი იდუმალასთან

ერეკლემ აპყარა ალყა აწყურს. დასძრა თავისი ჯარი და გაუძღვა როკეტის გზაზე. ჩვენი ჯარი ძლიერ ნელა მიდიოდა ცუდ და უცნობი გზის გამო. შეიტყო თუ არა ალყის აყრა აწყურის ციხეში მყოფმა მტრის ჯარმა, იგი, უმეტეს ნაწილად, გამოვიდა სიმაგრიდან, უფრო მოკლე გზა აირჩია, გაუსწრო წინ ჩვენ ჯარსა, წინ უყელა, შეუერთდა თავიანთ ჯარს, ასპინძის ახლო მყოფსა, შეადგინა ორი ათასი ლაშქარი და უცებ თავს დაესხა ქართველ წინა ჯარსა იდუმალას მახლობლად. ბლომა ნაწილი ჩვენი ჯარისა უკან იყო დარჩენილი, წინა ჯარსაც მტერმა მოასწრო უხერხულს ალაგს, მოულოდნელად მიიტანა მასზე იერიში და ამიტომ ჩვენი ჯარი აირია, შეძრწუნდა და ზურგი აქცია მტერსა. საშინელი

დამარცხება ვერ ასცდებოდა ქართველთა ჯარსა, თუ რომ მეფის სამაგალითო გულადობას არ ეხსნა იგი დიდის განსაცდელისაგან. ერეკლე პირადად გაექანა “რაოდენიმე ჩინებულთა და შინა ყმითა თვისითა და შვიდით ხევსურითა, განსწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად, ვიდრე სიკვდილამდე”... გამოქცეული ჩვენი ჯარი, როცა მან თავისი უსაყვარლესი მეფე განსაცდელში დაინახა, გონზე მოვიდა, ისევ აივსო მამაცური გამბედაობით, მიუბრუნდა მტერსა, დაესხა თავსა და საშინლად დაამარცხა. მტრის ორი ათასი კაციდან ათასმა ძლივს უშველა თავსა გაქცევითა. ნახევარი ჯარი ოსმალ-ლეკებისა ბრძოლის ველზე დარჩა დახოცილი და დაჭრილი.

ამ შემთხვევაში ერეკლე უნებლიედ მოგაგონებთ იულიუს კეისარსა, პირველს სარდალს ძველის დროისას. როცა ისპანიაში პომპეუსის შვილების ჯარმა ზურგი აქნევინა კეისარის ჯარსა და გამოაქცია, ეს

სწრაფად მოაჯდა თავის ცხენსა, მჭეხარი ხმით შესძახა: “განა ამ ბაღლებს უნდა დავემარცხებინოთ!” და იერიში თვითონ მიიტანა მტერზე. გაქცეულმა ჯარმა რომ თავისი უძვირფასესი წინამძღოლი დაინახა საშინელს ხიფათში, მობრუნდა, მამაცურად შეება მტერსა და საშინლად დაამარცხა.

7. დაბანაკება ჩვენი ჯარისა ასპინძის სერებზე

ხოლო მთავარი განსაცდელი ერეკლესი ჯერ წინ იყო. ამ ომს შემდეგ არ გასულიყო რამდენიმე საათი და დაღალულს ჯარს ჯერედ არ დაესვენა, რომ ერეკლეს ამბავი მოუტანეს: შენზე ახალციხიდან მოდის მთავარი ჯარი ოსმალ-ლეკისა, რიცხვით ათი ათასი, და რამდენიმე საათის შემდეგ გამოვა მტკვარსა და თავს დაგესხმებაო. ამ დროს ერეკლეს თანა ჰყავდა სულ ოთხი ათასი მეომარი, დანარჩენი ზოგი სურსათზე იყო წასული, ზოგი უკან იყო დარჩენილი და ზოგიც ჭრილობით და ავადმყოფობით იყო შეპყრობილი. სამწუხაროდ, ეს ოთხი ათასი კაციც მარტო ქართველთაგან როდი იყო შემდგარი. მათში ერია ათასი ბორჩალოელი თათარი, რომელთაც ერეკლე სავსებით ვერ ენდობოდა. ამაზე უფრო გაჭირვებული მდგომარეობა განა ძნელი წარმოსადგენია? სამი ათასი ქართველი უცხო ქვეყანაში უნდა შებრძოლებოდა ათი ათასს მტრის ჯარსა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, სწორედ ამისთანა უკიდურეს გაჭირვებაში თავს იჩენდა ხოლმე ერეკლეს საოცარი ნიჭი სარდლისა... ერეკლემ კარგად იცოდა, რომ მარჯვე პოზიცია, მოხერხებული საომარი ადგილი ყველაზე მომეტებულად იყო საჭირო გამარჯვებისათვის ამისთანა ძალთა უსწორობაში. და სწორედ ამისთანა პოზიციის ამორჩევას და დაჭერას დაეშურა დაუყოვნებლივ. მეფემ გაიარა იდუმალა და მიმართა ასპინძის მაღლობებსა. ეს მაღლობები ჩამწკრივებული იყო იდუმალასა და ასპინძას შუა მტკვრის მარჯვენა ნაპირასა; მტკვარსა და ამ მაღლობებ შუა სულ ორი ვერსის სიგანე ვაკე იყო დარჩენილი და აი სწორედ ეს სერები აირჩია ერეკლემ საომარ ადგილად და აქ ჩაასაფრა თავისი მცირე ჯარი.

მეფეს ჯარი გაყოფილი ჰყავდა სამ ნაწილად; ერთს ნაწილს თვითონ განაგებდა, მეორეს უწინამძღვრებდა მემკვიდრე საქართველოს ტახტისა გიორგი ბატონიშვილი, უფროსი ვაჟი ერეკლესი, და მესამე ნაწილის უფროსი იყო დავით ორბელიანი. შუა მაღლობები ერეკლემ დაიჭირა თავისი ჯარითა, მარცხენა მაღლობზე გამაგრდა ორბელიანი, მარჯვენაზე — ბატონიშვილი გიორგი, რომლის პოზიცია კარგა მანძილზე იყო მოშორებული. ბატონიშვილს ნაბრძანები ჰქონდა მამისაგან, რომ თავისი ჯარით ომში მონაწილეობა თავდაპირველად არ მიეღო, თავისი ძალღონე შეენახა შემდეგისათვის და გაჭირვების დროს, ან ბოლოს ხანს, დასვენებული ჯარით იერიში მიეტანა მტერზე. ჯერ ქართველი ჯარი კარგად არ იყო დაბინავებული ასპინძის მაღლობებზე, რომ თათრის ჯარმა დაიწყო გამოსვლა ხიდზედა, რომელიც ასპინძის ზემო მტკვარზე იყო გაკეთებული ჩქარა მთლად აავსო გრძელი და ვიწრო ვაკე და მიუახლოვდა ქართველ ჯარსა. მაგრამ ღამემ უსწრო და ომი შემდეგის დღისათვის იქნა გადადებული.

8. ასპინძის ომი

ორივე მხარე მთელს ღამეს საომრად ემზადებოდა. გათენდა თუ არა, თათრების ჯარმა წინ წამოწევა იწყო და, რაწამს თოფის მანძილზე მიუახლოვდა, ასტეხა ხშირი სროლა. ტყვია ხოშკაკალასავით მიდიოდა ქართველი ჯარისკენ, მაგრამ მხოლოდ კლდეებს ადენდა მტვერსა, ჩვენს ჯარს კი ვერას აკლებდა, ისე ოსტატურად იყო ჩამწკრივებული და ამოფარებული სერებზე. მტრის ჯარი დაიმედებული იყო, რომ ერეკლეს მცირეოდენ ჯარს მთლად ხელში იგდებდა, და ამ იმედს ისიც უძლიერებდა, რომ ქართველების მხრივ ჯერ ერთი თოფიც არ გავარდნილიყო. მტერმა ეს შიშს დააბრალა და უფრო მეტი იმედი მიეცა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს ოსტატობის ხერხი იყო და არა შიშის ბრალი. ერეკლესაგან ქართველ ჯარს ნაბრძანები ქონდა: ერთი თოფიც არ გაისროლოთ, ვიდრე მტერი ახლოს არ მოვაო და მაშინ კი ერთბაშად ასტეხეთ ხშირი და მარჯვე სროლაო.

აი ოსმალ-ლეკებმა სროლით ძლიერ ახლო მოატანეს ქართველ ჯარსა. უცებ ანიშნა ერეკლემ, დრო არისო, და დაიჭეჯა ჩვენების თოფებმა, მარჯვედ დამიზნებულმა. თითქმის ყველა ტყვია თავის დანიშნულებას ეწია: პირველი რიგი მტრის ჯარისა ისე დაემხო დედამიწაზე, როგორც ცელით ძირში მოჭრილი გამხმარი ყანა იქცევა ძირს. მეორე რიგმა მტრის ჯარისამ, გამოცდილმა და

გაფოლადებულმა ომებში, წარბიც არ შეიხარა, მამაცურად გადააბიჯა მკვდრებსა და დაჭრილს ამხანაგებზე და ჩასდგა პირველს რიგში... ხოლო მანამ გასროლას მოასწრებდა, ხელმეორედ იგრიალა ქართველთა თოფებმა და ეს რიგიც ჭერებებით მიწაზე დაემხო. მას ვაჟკაცურად გადმოაბიჯა მტრის მესამე რიგმა და დადგა წინ. სერებიდან მესამედ დაგრიალებულმა თოფებმა ამათაც ის დღე დააყენა. მაშინ მეოთხე რიგი შედრკა და ადგილიდან ფეხი ველარ მოიცვალა, მაგრამ არც აქ დააყარეს ხეირი ქართველებმა. წინა რიგები მტრის ჯარისა ხომ ასე იჟლიტებოდა, არც უკან რიგებს ადგათ უკეთესი დღე. ორი ათასი თოფი ქართველის ჯარისა სეტყვასავით აყრიდა ტყვიას თავზე ოსმალ-ლეკებსა. საქმეს ისიც უფრო უჭირებდა მტერსა, რომ ტყვია, მაღლობებიდან ქვემოთ დაშვებული, სულ თავ-პირში ხვდებოდა ორკეცი ძალითა. რადგანაც ვიწრო ღელე მჭიდროდ იყო გაჭიკნილი მტრითა, ამიტომ თითქმის არც ერთი ქართული ტყვია ტყუილად არ იკარგებოდა. ხმლით იერიშის მიტანა ოსმალ-ლეკებს იმის გამოც არ შეეძლოთ, რომ ხმალში ქართველები ძლიერ მარჯვენი იყვნენ და თავისი მაღლობი ადგილებიდან სულ ადვილად ამოსჩეხდნენ ახლო მისულს მტერსა. ოსმალ-ლეკების ჯარი ძლიერ გაჭედილი იყო ღელეში, თავისუფალი მოძრაობა არ შეეძლო და ეს გარემოება კიდევ უფრო უშლიდა ხელსა. ქართველებისაგან კი მოდიოდა და მოდიოდა ზუზუნ-ზუზუნით ტყვია და ათხელებდა მტრის ლაშქარს. ოსმალ-ლეკნიც აუარებელს ტყვიას ჰგზავნიდნენ ზეით ქართველებისაკენ, მაგრამ კლდეებს თუ ამტვრევდნენ, თორემ მარჯვედ ჩასაფრებულს ჩვენს ჯარს ვერას აკლებდნენ, როგორც ზემოდაც შევნიშნეთ.

მტრის ჯარი თანდათან მცირდებოდა და შიშს მიეცა. მისი სარდალი დარწმუნდა, რომ ამ მიუვალ პოზიციაზე ქართველებს ვერას დავაკლებთ და ჩემს ჯარს მათ გავაჟღერებო. ამიტომ გადასწყვიტა: უკან-უკან დაეწია თავისი ჯარით, ხელახლად გაესხა იგი ხიდზე, მარცხენა ნაპირი მტკვრისა ჩაევლო, ქვემოთ სადმე ფონი ენახა, ამ ფონში გაესხა თავისი ჯარი, უკანიდან მოეარნა ქართველი ჯარისათვის და დაემარცხებინა იგი. თათრის ჯარმა თანდათან იწყო უკანდახევა, თუმცა თოფის სროლას არ აკლებდა. მაშინ ერეკლეს ბრძანებით ქართველი ჯარი აიშალა მაღლობებიდან და თოფების ჭახაჭუხით ქვემოთ ღელეში ჩამოეშვა. თათრის ჯარმა რომ ეს დაინახა, შედგა, წინვე იწყო წამოსვლა და ხელახლად გააჩაღა ომი. ერეკლემ აფრინა კაცი გიორგი მემკვიდრესთან, რომ თავისი ჯარი მოეშველებინა; მაგრამ ის, რაღაც უცნაურის მიზეზის გამო, ადგილიდან არ დაიძრა. ომი მეტად გამწვავდა. ერთ მხრივ იბრძოდა ათი ათასი თათარი, მეორე მხრივ, — ორი ათასი ქართველი.

9. კოხტა ბელადის მოკვლა ერეკლეს მიერ და საშინელი განადგურება მტრისა...

უცებ დაიძრა მტრის ჯარიდან ათასი ცხენოსანი ლეკი და ხმალამოდებული ნიავსავით გამოექანა ქართველი ჯარისაკენ იერიშის მოსატანად. მას წინ მოუძლოდა, მოჰქროლავდა ახოვანი ვაჟკაცი, მშვენიერს ბედაურზე მჯდომი, კოხტა ბელადი, პირველ მეომრად ცნობილი მთელს დაღისტანში. კოხტა მისმა ბედაურმა კარგა მანძილზე დააწინაურა. ჩვენი მხრიდანაც ისკუპა ცეცხლსავით სწრაფმა მერანმა და გაექანა კოხტასაკენ. ამ მერანზე იჯდა მშვენიერი შუატანის და შუახნის ვაჟკაცი, ცოტა ბეჭებში მოხრილი, არწივისებურის თვალების პატრონი, მდიდარს ტანისამოსში გამოწყობილი; ამ ვაჟკაცს ყველა მოძრაობაში ეტყობოდა საოცარი სისწრაფე და სიმარჯვე... ეს იყო ერეკლე მეფე, რომელიც ხმალამოდებული მიისწრაფებოდა გამოქანებულის მტრისკენ. ერეკლეს ხმალამოდებულზე მოსდევდნენ შვიდნი წინათ ხსენებულნი სახელოვანნი ხევსურნი და სხვა ცხენოსანნი. დადგა საშინელი წამი. ჩქარა ორივე ბედაურნი თითქმის ერთმანეთს შეეხალნენ. ერეკლესა და

კობტას ხმაღმა ერთსა და იმავე წამს გაიელვა ჰაერში. დამიზნებული ხმალი კობტასი ერეკლემ მარჯვედ აიციდინა და თავისი ბასრი ხმალი დასთხლიშა საკვირველი სისწრაფით მტერს თავზე. კობტას მზე დაბნელდა ბასრი მახვილით თავგაპობილი და თქრიალა სისხლში მოსვრილი, იგი მოსწყდა თავის მერანსა და დედამიწაზე ზღართა მოიღო. მაშინვე გაისმა ლომებრივი და მტრის სიკვდილის მომასწავებელი ხმა ერეკლესი: ხმალი ამ წუნკალებსაო! ქართველი ცხენოსანი ჯარი, აღტაცებაში მოყვანილი მეფის საოცარი მამაცობით და სიმარჯვით მიესია მტერსა და დაუწყო უწყალოდ ჩეხა. კობტას მოკვლამ, საზარელმა ჭიხვინმა მისი ბედაურისამ, რომელიც უპატრონოდ გადარეული დარბოდა ოსმალ-ლეკების წინა, საშინელი თავზარი დასცა მტერსა, მოადუნა, დააუძლურა და ბრძოლის ძალა წაართვა მთლად. ჩვენი ქვევითი ჯარიც მიესია თავზარდასხმულს ოსმალ-ლეკების ლაშქარსა და სულ მუსრი გაავლო. მტერი სწრაფად იწევდა უკან და მას მხოლოდ ცოტათი ამხნევებდა ის იმედი, რომ ხიდამდის მივაღწევ, მტკვრის იქითა ნაპირს გავალ და გაქცევით თავს ვუშველიო. გარნა უბედურმა მტერმა არ იცოდა, რომ შორსმჭვრეტელი ერეკლე ამისთანა წინდაუხედაობას თავის დღეში არ ჩაიდენდა. უცებ მოისმა საცოდავი ხმაურობა მტრის უკანა ჯარში, როცა იგი ხიდს მიუახლოვდა. ამ ხმაურობამ ჩქარა უწია წინა ჯარამდის. რა ხმაურობა და ჟრიამული იყო ესა? ეს ხმაურობა ჰფენდა მტრის ჯარში საზარელს ამბავს — ხიდის ჩაშლას მტკვარზე. ადვილად მიხვდებით, რომ ხიდი ქართველებისაგან უნდა ყოფილიყო გაფუჭებული. და ასეც იყო. თავდაპირველადვე ერეკლეს სრული იმედი ჰქონდა მტერზე გამარჯვებისა და უნდოდა გასაქცევი გზა შეეკრა იმისთვის. ამიტომ წინაღამეს უბრძანა სამს რჩეულს ვაჟკაცს — ჩუმად წაესხათ რამდენიმე ჯარის კაცი, შეუმჩნევლად მიპარულიყვნენ ხიდთან და გაეფუჭებინათ. ეს ვაჟკაცი იყვნენ: ალაბაბ ერისთავი, სვიმონ მუხრან-ბატონი და ხუდია ბორჩალოელი. ამათ ისე ოსტატურად და სწრაფად შეასრულეს ღამის სიბნელეში მეფის ბრძანება, რომ მტერს სრულიად არაფერი შეუტყვია. მეორე დღესაც ოსმალ-

ლეკთათვის ეს გარემოება შეუმჩნეველი დარჩა, რადგანაც ხიდი ჩაფუშული როდი იყო, არამედ გადახერხილი ქონდა თავხეები. რაწამს პირველი რიგი გაქცეული თათრის ჯარისა შესდგა ხიდზე, თავხეები ჩაიმტვრა, ხიდი ჩაიშალა და თან ჩაიტანა უბედურნი... ხიდის ჩაშლის ამბავმა მტრის ჯარს მთლად წაართვა ძალა, გარდააქცია მხდალ ცხვრის ფარად და მისცა სასოწარკვეთილებასა. ქართველები კი მეფის სამაგალითო გამარჯვებამ და საოცარმა ვაჟკაცობამ სიმამაცით აავსო და ლომებად აქცია. და, აბა, მშიშარა ცხვრები რაღას გააწყობდნენ გააფთრებული ლომების წინააღმდეგ. სხვა გზა რომ აღარა ჰქონდათ, ოსმალ-ლეკები ცვივოდნენ მტკვარში იმ იმედით, ეგები როგორმე იქით ნაპირს გავაღწიოთო. მაგრამ ტყუილად. მაშინ აპრილი იდგა, წყალდიდობა იყო, მტკვარი აზვირთებული მოქუხდა და ამიტომ მასში გასვლა ძლიერ ძნელი იყო. და ან როგორ შეეძლოთ გაეღწიათ იქით, როდესაც ერთმანეთს ელალებოდნენ, პირველს რიგს, ჩაცვივნულს მტკვარში, მეორე რიგი ზემოდან ეცემოდა, მეორეს მესამე და ერთმანეთს აძირვინებდნენ მტკვარსა, ირჩობოდნენ, ილუპებოდნენ. ერთი მხრივ მტერი იჟლიტებოდა ქართველთა ხმლითა და ხანჯლითა, მერე მხრივ ადიდებული მტკვარი ნთქავდა მას თავის ზვირთებში. მტკვარი ისე გაივსო დამრჩვალნი ოსმალ-ლეკებითა, რომ ბევრს ადგილს ნაპირებიდან გადმოვიდა. ამასთან მთელი მდინარე წითლად შეიღება ნაკადულებად დაღვრილი სისხლისაგან. იმდენი ჯარი ოსმალ-ლეკებისა თითქმის მთლად დაილუპა. სამი ათასი კაცი შეიქმნა მსხვერპლი ქართველთა იარაღისა და მოჰფინა ბრძოლის ველი. სხვანი ჩანთქა მტკვრის ზვირთებმა. მხოლოდ ორმოცამდე კაცი გადარჩა. ესენი ადრიანად შეცვივდნენ ბედაური ცხენებით მტკვარში, რის ვაი-ვაგლახით გააღწიეს იქითა ნაპირასა და გაქცევით უშველეს თავსა. სამოცამდე მეომარი ტყვედ ჩაუვარდათ ქართველებს ხელში. ბევრი წარჩინებული მტერი და მრავალი საუკეთესო ვაჟკაცი, ოსმალთა თუ ლეკი, გამოესალმა წუთისოფელსა. ოსმალთა მხრივ აქ მოკლულ იქმნა გოლა- ფაშა და სრულიად ამოსწყდა მთელი ბეგობა ახალციხის საფაშოსი. ლეკთაგან,

გარდა კობტა ბელადისა, აქ დაიხოცნენ სამნი წარჩინებულნი ბელადნი, მთელს დაღისტანში ცნობილნი საუკეთესო ვაჟკაცებად, და ათასამდე რჩეულნი ცხენოსანნი. მთელი საომარი იარაღი, ზარბაზნები, ფული, თვალმარგალიტი, ცხენები და სხვა სიმდიდრე მტრისა ქართველებს ჩაუვარდათ ხელში.

ქართველებს როგორღა დაუჯდათ ეს სახელოვანი გამარჯვება: ძვირად, თუ იაფად? ძალიან იაფად, ისე იაფად, რომ კაცი ძნელად დაიჯერებს, თუ კარგად არ იცის ამ ომის ამბავი და ერეკლე მეფის უმთავრესი ღირსება. მოიკლა ასპინძის ომში მხოლოდ ოცდაათი ქართველი და ასიოდე დაჭრილი იქმნა. მოკლულებში არც ერთი გამოჩენილი გვამი არ მოიპოვებოდა; მხოლოდ დაჭრილებში ერია ორი სახელოვანი სარდალი: ჯარის ერთი უფროსთაგანი ალექსანდრე ციციშვილი და იასე ერისთავი.

მაგრამ განა მარტო ასპინძის გამარჯვება დაისვა ასე იაფად პატარა კახმა? არა, იგი ყოველს მოგებულს ომში ჰკარგავდა მხოლოდ მცირეოდენს ჯარსა, დიდს გამარჯვებას პატარა მსხვერპლით ახერხებდა, მრავალს მტერს მცირეოდენი ძალით ამარცხებდა, პატარა ღონისძიებით ბრწყინვალე წადილს ეწეოდა და სწორედ ამაში მდგომარეობს უზენაესი ღირსება სარდლისა. ეს ღირსება მეტადრე საჭირო იყო იმისთანა პატარა ქვეყნისათვის, როგორც იყო და არის საქართველო.

ოსმალოს ჯარის ამოჟლეტის შემდეგ ერეკლეს გზა სრულიად გახსნილი ჰქონდა ახალციხისკენ და ამ ქალაქის აღება მას სრულიადაც არ გაუჭირდებოდა. მაგრამ ერთმა გარემოებამ ხელი სრულიად მოუცარა. საქმე ის არის, რომ ქართლიდან ამბავი მოუვიდა: ტოტლებენი მოწადინებულია თბილისში ჩავიდეს თავისი ჯარით, გააუქმოს ბაგრატიონთა მეფობა, შეუერთოს საქართველო რუსეთსა, დააფიცოს ქართველობა რუსთა იმპერატორის ერთგულებაზე და თავისი თავი საქართველოს მთავარ მმართველად გამოაცხადოსო. “გამართლდა, სავსებით გამართლდა ჩემი ეჭვი”, — სთქვა ერეკლემ და თავისი ჯარით დაუყოვნებლივ გამოემურა თავისი სატახტო ქალაქისაკენ, პირდაპირი

გზით ჯავახეთზე...

10. შემადრწუნებელი ჭორი

სწორედ იმ დღეს, როდესაც ისე ბრწყინვალედ იმარჯვებდა ერეკლე მტრებზე, საქართველოს სატახტო ქალაქს თბილისში გავარდა საზარელი ხმა: მეფე თავისი ჯარით მთლად დალუპულა ახალციხის ახლოო.რამ დაბადა ეს ჭორი და საიდან გაჩნდა? როდესაც ქართლში დაბრუნდა ტოტლებენი რუსის ჯარით და ერეკლე კი არსადა სჩანდა, ხალხში ეჭვი დაიბადა, — ვაითუ ერეკლეს უბედურება რამ შეემთხვაო. ეჭვი ჩქარა გარდაიქცა სამწუხარო ჭორად, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ რუსები ავრცელებდნენ ქართლში: ერეკლე, მარტოდ დატოვებული მტრის ქვეყანაში, დალუპვას ვერ ასცილდებო. ამას ისიც დაერთო, რომ ქართველს ჯარზე სრულიად არაფერი ამბავი არ ისმოდა. ამ ჭორმა, დაბადებულმა ზემო ქართლში, სწრაფად იარა, იზარდა, თბილისამდის მოაღწია და ყველას თავზარი დასცა.დედოფალს დარეჯანს, რომელიც მაშინ თბილისში ცხოვრობდა, ვერავინ უბედავდა ამ საზარელი ამბის მიტანასა. ბოლოს ერთი პატივცემული მანდილოსანი ბექთაბეგიანთ ქვრივი, რომელიც დედოფალთან ძლიერ მიჩნეული იყო, აშფოთებული გაეშურა სასახლისაკენ, წარსდგა დედოფლის წინაშე და მდულარე ცრემლისღვრით მოახსენა დარეჯანსა: “დედოფალო, შენი ჭირიმე, ჩქარა ავიყარენით აქედგან, ტყეში სადმე გავიხიზნოთ, მეფე თავის ჯარით დიდს საშინელებაში ჩავარდნილა”. ელდანაცემი დედოფალი მაშინვე წამოდგა ფეხზე, გაიძრო წულები, ფეხშიშველა გამოვიდა გარეთ და სიონისაკენ გაეშურა, რათა მხურვალე ცრემლით შეევედრებინა უფლისათვის თავისი მეუღლე მეფე, იმისი ჯარი და მთელი საქართველო. დედოფალს უკან დაედევნა მთელი სახლობა მეფისა: ქალები ფეხშიშველები და კაცები ქუდმოხდილნი მიისწრაფოდნენ სიონისაკენა. ქალაქელებმა თავი ანებეს საქმეებს და ქალით-კაცამდე სიონს მიადგნენ შეძრწუნებულნი. ყველანი მხოლოდ ღვთისგან მოელოდნენ ნუგეშსა და შველასა და მდულარე ცრემლით ევედრებოდნენ. ეს შიში იმანაც უფრო განაძლიერა, რომ მტკვარს უცებ

სისხლის ფერი მიეცა. ვაიმე, ეს ჩვენი ჯარის სისხლი უნდა იყოსო, — იფიქრა ყველამ და მწუხარებამ უფრო იმატა. ამ მწუხარებაში განვლო მთელმა ღამემ, ღამემ საშინელმა. მეორე დღეს ადიდებულის მტკვრის ზვირთებმა ჩამოატარა მრავალი დამრჩვალი, და აღმოჩნდა, რომ ესენი ყველანი ოსმალნი და ლეკები იყვნენ და მათში არც ერთი ქართველი არ ერია. მაშინ კი როგორც დედოფალი, ისე მთელი თბილისი დარწმუნდა, რომ ერეკლესი და მისი ჯარის დაღუპვა ჭორი იყო, და გლოვა სიხარულად გარდაექცათ. მესამე დღეს ეს სიხარული უცებ საზარელ შიშზე შეიცვალა. თბილელებმა სოლოლაკის მთაზე დაინახეს ოსმალურ ტანისამოსში გამოწყობილი მხედრობა. ვაი ჩვენ, მტერი შემოგვესიაო, — გაისმა თბილისის ქუჩებში, მაგრამ მალე შეშინებულს ქალაქს მოესმა ამ ჯარისაგან მშვენიერი ქართული საომარი სიმღერა:

“ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა შავი ტყისასა; ვინც დახვდა, იგივე დახვდება გულდაგულ რაზმსა მტრისასა”. დიდი შიში დიდ გაოცებად გადაიქცა. ხოლო ამ გრძნობამაც მალე დაუთმო ადგილი სხვა სულის მოძრაობას — უძლიერეს სიხარულსა, აღუწერელს აღტაცებასა. აღმოჩნდა, რომ ერეკლე დაწინაურებულიყო მცირეოდენი ცხენოსანი ჯარითა, რომელსაც ჩაეცვა მდიდრული ოსმალური ტანისამოსი ასპინძის ომში დახოცილი ფაშების, ბეგების და ჯარის სხვა უფროსებისა. მალე სოლოლაკის დაღმართზე ჩამოვიდა ძლევამოსილი ერეკლე, თავის მშვენიერს მერანზე მჯდომი. დედოფალი დარეჯანი გაეშურა თავისი გვირგვინოსანი მეუღლის მისაგებებლად. ახლაც მას ცრემლი პირისახეზე დაჰაღუპით სდიოდა; მაგრამ ეს იყო ცრემლი გაუზომელი სიხარულისა, სრული ბედნიერის წამისა. მთელი ქალაქი მიეგება თავის სათაყვანებელს მეფეს გამოუთქმელი აღტაცებით. ასპინძის გმირი გადმოხტა ცხენიდან, ჯერ მოეხვია თავის მეუღლეს და მერმე მიესალმა ხალხსა. მეფე-დედოფალი და ხალხი პირდაპირ სიონში გაეშურნენ, სადაც გადახდილი იქმნა სამადლობელი პარაკლისი კათალიკოსის ანტონის მიერ, რომელზედაც ყოველი ქართველი მხურვალე გულით ჰმადლობდა უფალსა ქართველი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებისა და მტრის

დამარცხებისათვის. იმავე დღეს ერეკლეს მშვენიერს სასახლეში, რომელშიაც ითვლებოდა თითქმის ორასი თვალი ოთახი, გაიმართა დიდი ნადიმი და მთელი ქალაქი მიეცა რამდენისამე დღის განმავლობაში ღვინსა და შექცევასა.

11. ტოტლებენის ბოლო. ერეკლესა და სოლომონ მეფეთა

ბრწყინვალე ლაშქრობა ოსმალეთში ტოტლებენმა მალე შეიტყო ერეკლეს ბრწყინვალე გამარჯვება და საჩქაროთ დაბრუნება თბილისში, და დიდს საგონებელში ჩავარდა: ვაითუ მეფემ ღალატისათვის სამაგიერო გადამიხადოს, თავისი ჯარით გზა შემიკრას რუსეთისაკენ, დამატყვევოს და სასჯელს მიმცესო, შიშობდა იგი. ეს შიში მასში მით უფრო ძლიერი იყო, რომ არა ერთი და ორი რუსი ოფიცერი ხმამაღლა ჰკიცხავდა თავის უფროსის უღირსს საქციელსა. რათა ხიფათი აეცილებინა თავიდან, ტოტლებენი აიყარა თავისი ჯარით სურამიდან და სწრაფად გასწია დუშეთისაკენ. იარა კავკასიის ქედის ძირამდინ და დაბინავდა ანანურში, სადაც მაშინ მაგარი ციხე იყო. ახლა მას რუსეთისაკენ გზას ველარავინ შეუკრავდა და ამიტომ ისევ სიბრიყვეზე შედგა. გარეშე სოფლების მცხოვრებლებს ძალას ატანდა — უარყავით თქვენი მეფე ერეკლე და დაიფიცეთ რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზეო. ვინც უარს ამბობდა, არბევდა, სცემდა და სტანჯავდა. თანაც ტოტლებენი სწერდა რუსეთის მთავრობას პეტერბურგში, ცოტაოდენი ჯარი კიდევ მომაშველეთ, მეფე ერეკლეს დავატყვევებ, რუსეთში გამოვგზავნი და საქართველოს რუსეთს შემოვუერთებო. მაგრამ უმაღლესი მთავრობისაგან უარი მოუვიდა: საქართველო ძლიერ დაშორებულია რუსეთზე, გზებიც მეტად ძნელი სავალია, საქართველოსა და რუსეთს შუა ბევრი მთიული ხალხია დაუმორჩილებელი და ამიტომ ჯერჯერობით მაგ ქვეყნის შემოერთება უხერხულიაო. ერეკლე მეფემ ეს ამბავი სავსებით არ იცოდა, იმპერატრიცა ეკატერინესიც დიდი ხათრი ჰქონდა და ამიტომ ტოტლებენს აპატია ყველა მისი სიბრიყვე და კარგი გული უჩვენა. რაკი ტოტლებენი დარწმუნდა, რომ ერეკლე მას მტრულად არ მოექცეოდა და არას დაუშავებდა, თავისი ჯარით გასწია იმერეთისაკენ სოლომონ მეფის

მისაშველებლად, როგორც ეს ნაბრძანები ჰქონდა ეკატერინესაგან.

სოლომონ მეფე ებრძოდა ერთი მხრივ ოსმალებსა, რომელთაც ეჭირათ ყველა სიმაგრე მისს სამფლობელოში, და მეორე მხრივ გურიის და სამეგრელოს მთავრებსა. მაგრამ ტოტლებენის მიშველებას არ მიშველება სჯობდა. თუმცა ციხეებში ოსმალებს ოცი-ორმოცი ჯარისკაცის მეტი არა ჰყავდათ, მაგრამ ტოტლებენი ვერ ახერხებდა მათ აღებას და მთელი თვეობით იდგა მათ გარეშემო ყარყუმივით. როცა ციხე ბოლოს სიმშლის გამო დამორჩილდებოდა ხოლმე, ტოტლებენი უწყალოდ სცარცვამდა თვით ადგილობრივს მცხოვრებლებსაც. ამის გამო ყველამ შეიძულა იგი. გამარცვის შიშით ციხეები აღარ ემორჩილებოდნენ და იბრძოდნენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ტოტლებენის აღთქმას და ფიცს აღარავინ იჯერებდა. მაშინ მიმართა მან სოლომონ მეფის მეუღლეს, დედოფალს მარიამსა, და სთხოვა თავდებობა ეკისრა. ეს დედოფალი იყო ყოვლად ღირსეული გვირგვინოსანი და მას ყველა იმერი უსაზღვროდ ენდობოდა. ამიტომ საცა კი თავდებობა მან იკისრა, იქ ადვილად დამორჩილდნენ ტოტლებენს მეციხოვნენი. ეს აბეზარი გენერალი სოლომონ მეფესთანაც ვერ მოეწყო, რის გამოც რუსთა ჯარი ცალკე ეომებოდა ოსმალებსა და იმერთა ჯარი კიდევ ცალკე. ერთხელ, როდესაც ფოთის გარშემო იდგა ტოტლებენი თავისი ჯარით, ოსმალთა ჯარი შეუმჩნევლად მიუახლოვდა მას და სრულიად ამოჟლეტავდა რუსებსა, თუ სოლომონ მეფეს არ მიესწრო და უკუ არ ექცია მტერი. თვით საკუთარს ჯარს ძლიერ ცუდად ექცეოდა, მეტისმეტი ანგარების გამო საწყალ სალდათებს ჰხოცდა შიმშილით და უტანისამოსოდ. თითქმის მთელი ჯარი დაავადებული იყო და ჭერეხივით ეყარა. ბევრმა რუსის სალდათმა დალია სული აქ და მიეზარა ცივს სამარეს უცხო, შორეულს ქვეყანაში.

ბოლოს სიმართლემ მიაღწია პეტერბურგამდინ, და იმპერატრიცა ეკატერინემ გამოსცვალა ტოტლებენი და მის ნაცვლად გამოგზავნა რუსეთიდან გენერალი სუხოტინი. მაგრამ ვერც ეს გამოდგა ღირსეული წინამძღოლი ჯარისა, და მალე იქმნა დაბარებული რუსეთში თავის

ჯარითურთ. ეს მოხდა 1772 წელს.

დარჩა ამ სახით აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველო თავისთა ძალთა ამარა ძლიერის მტრის წინააღმდეგ. ბევრი ჩვენებური ჩავარდა საგონებელსა და შიშში. მაგრამ ეს შიში მალე გაიფანტა მთლად. ქართველმა მეფეებმა — ერეკლემ და სოლომონმა — მოახერხეს შეკავშირება, შეუერთეს იმერთა და ამერთა ჯარები ერთმანეთსა და შეესივნენ ოსმალეთსა ახალციხის მხრივ. ციხეების აღებას თავი დაანებეს, ქვეყნების დაპყრობას შეუდგნენ და ბრწყინვალე გამარჯვებით იარეს თვით აზრუმამდინ. მაგრამ სწორედ ამ დროს ზავი და მშვიდობა ჩამოვარდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის და ქართველი მეფენი იძულებულნი შეიქმნენ შეეიწყვიტათ ლაშქრობა და დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, რაიცა მოხდა 1774 წელს.

ერეკლესა და სოლომონს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ სამშვიდობო ტრაქტატის შეკვრის დროს რუსეთსა და ოსმალეთს შორის, მათ დაუბრუნდებოდათ ის კუთხეები საქართველოსი, რომელნიც ოსმალეთს ეჭირა. საუბედუროდ, ეს იმედი მათ არ აუცხადდათ, ოსმალეთმა შეირჩინა წინათ დაპყრობილი ქართული ქვეყნები და ქართველ მეფეებს მხოლოდ მცირე რამ დაუთმო. სამაგიეროდ რუსეთმა ბევრი რამ მიიღო ოსმალეთისაგან და თავის საზღვრები გააგანiera სამხრეთის მხრივ.

ამ წერილს საფუძვლად დაედვნენ შემდეგნი თხზულებანი: „ქართლის ცხოვრება“, Грамоты и другие Исторические документы XVIII столетия, დაბეჭდილი ამ უკანასკნელს ხანს პროფესორის ცაგარლის რედაქციით; ნადირშაჰის ცხოვრების აღწერა, გენერალის ქიშმიშოვისა; Кавказская война, პოტოსი; Закавказье, დუბროვინისა, თხზულებანი ალექსანდრე ორბელიანისა; Кавказские этюды, ვეიდენბაუმისა; აგრეთვე ზოგიერთი ხალხური თქმულება, ახალციხის მხარეში დარჩენილი. ავტორი

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი

1

ერეკლე მეფეს ომი ჰქონდა ჭარის ლეკებთან და ძლიერ დაამარცხა ისინი. გამარჯვების შემდეგ თავისი ჯარით უკან გამობრუნდა. მეფე, ორმოცდაათი წლის ვაჟკაცი, მშვენიერს ბედაურზე იჯდა და წინ მოუძლოდა ჯარს. ჯარი, გრძლად და ლამაზად დამწკრივებული, ფეხდაფეხ მოსდევდა მეფეს. გზა საინგილოზე მოდიოდა. ერეკლე შემოვიდა ერთ განიერ ორღობეში, რომლის აქეთ-იქით ჩამწკრივებული იყო დიდრონი ვენახები და ბაღები, სავსე დამკრახული და დაბრაწული ხილით.

უცებ მეფეს ვიღაცამ თავზე გადმოაყარა ზემოდან მთელი ბლუჯა ქლიავი. გაოცებულმა მეფემ ბედაური შეაყენა. გაჩერდა ჯარიც. მიიხედ-მოიხედეს და იქვე ვენახის ღობესთან დაინახეს ვეებერთელა ქლიავის ხეზე თორმეტიოდე წლის ინგილო გოგონა, რომელსაც ქლიავი ესროლნა მეფისათვის.

მეფის მხლებელნი წამსვე ჩამოიჭრნენ ცხენებიდან, აცვივდნენ ღობეზე და შეჰყვირეს პატარა ქალს:

— შე ბრიყვო, შე სამაგელო, ეს რა ჰქენი? მეფე ერეკლეს თავზე ქლიავის გადმოყრა როგორ გაუბედე? ჩამო ახლავე ხიდან და ბოდში მოითხოვე მეფის წინაშე, თორემ შავი დღე დაგადგება!

— რაო? მეფე ერეკლეო? — განცვიფრებით ჩამოსძახა ზევიდან გოგონამ.
— რას ამბობ? ეგ რომ ჩვენი სახელოვანი მეფე იყოს, განა სპარსულს ქუდს თავზე დაიხურავდა? არა, ეგ ტყუილია. მე ქლიავი თავზე გადმოვაყარე სპარსელს, ჩვენს მოსისხლე მტერს, და არა მეფე ერეკლეს, რომელიც ქართველებს ღმერთივით გვიყვარს, თქვენ სულ ტყუილად მემუქრებით. არც ძირს ჩამოვალ და არც ბოდში მოვიხდი! — და უფრო მაღლა წავიდა ხეზე.

ეს პასუხი გაიგონა მეფე ერეკლემ, გულიანად გადიხარხარა, მოიხადა

სპარსული ქუდი, რომლის ტარებას დაეჩვია ყმაწვილობაში, სპარსეთში ყოფნის დროს, დაანახვა თავისი მშვენივრად მოყვანილი ქართული თავი და შესძახა პატარა ქალს: “ყოჩად, ქალო! სრულიად მართალი ხარ. სპარსული ქუდი სწორედ რომ არ უნდა მეხუროს მე. ქართველი მეფე გარეგნობითაც, ტანისამოსითაც ქართველი უნდა იყოს. კარგი, ჩინებული დარიგება მომეცი შენ მაგ ქლიავის სროლით — ბარაქალა შენს ქალობას!”

ამასთან ერეკლემ იკრა ჯიბეს ხელი, ამოიღო მთელი ბლუჯა თეთრი ფული, მისცა თავის მხლებელს და უბრძანა: საჩუქრად მიეცი ეს მაგ სამაგალითო ქართველ გოგუცუნასაო.

გოგო ახლა კი მიხვდა თავის შეცდომას და ძლიერ შეწუხდა. საჩუქარი შორს დაიჭირა, ცივ უარზე დადგა, მაგრამ მხლებელმა უთხრა მოსარბილებლად: “განა მეორედაც გინდა აწყენინო მეფეს? მეფის წყალობაზე უარის თქმა ვის გაუგონია? თუ გსურს შენი შეცდომა გაასწორო და ერეკლე მეფეს აამო, ეს ფული მიიღე საჩუქრად”.

მაშინ კი დაეთანხმა გოგო, ზევიდან ქვემო ტოტზე ჩამოსწვდა ძირს, გამოართვა ფული და ჯიბეში ჩაიხხრიალა; მერე შურდულივით ავარდა ქლიავის კენწეროზე. კარგად გამოჩნდა, გასწორდა ტოტზე, მეფეს დაბლა დაუკრა თავი და წკრიალა ხმით გადმოსძახა:

“მეფე ერეკლეს გაუმარჯოს!”

— “ქართველ ქალსაც გაუმარჯოს!” — შესძახა მამობრივი ხმით მეფე ერეკლემ, დასძრა თავისი ბედაური და ჯერ კიდევ თავმოხდილი გაუძღვა ჯარს. ჯარი, ამაყი თავისი მამაცი მეფით და თავისი ვაჟკაცობით, უკან მისდევდა მწყობრად და თანაც აგუგუნებდა მშვენიერ ქართულს სიმღერას. პატარა ქალი კი იდგა ამართული ქლიავის კენწეროზე, თვალს არ აშორებდა მიმავალ მეფესა და მის ჯარს, და შეწყდებოდა თუ არა სიმღერა, ჰაერში გაისმოდა მისი ზარივით ხმა: “მეფე ერეკლეს გაუმარჯოს!” “ქართველ ჯარს გაუმარჯოს!” — ამ სახით იდგა პატარა ქალი დიდხანს და იმისთანა სიხარულს, იმისთანა ნეტარებას გრძნობდა, როგორც წინათ სიზმრადაც არ მოსჩვენებია. ქალს უზომოდ ახარებდა

სანატრელი მეფის ნახვა, მასთან საუბარი, მისი მამობრივი ქება, მისი საჩუქარი. ქალი, სიხარულით დამთვრალი, მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა ქლიავის ხიდან, როდესაც შორეულმა ნისლმა დაფარა მეფეც და მისი ჯარიც.

მაგრამ ქალს წასვლა აღარ უნდოდა. ის სიყვარულით შესცქეროდა ხან იმ ადგილს, სადაც მეფე ერეკლე იდგა და ელაპარაკებოდა, ხან ქლიავის ხეს, რომელთანაც იმ დღიდან შეერთდა, შეხორცდა მის გონებაში ბედნიერი წამი, უტკბილესი შემთხვევა. ერთი საათის წინათ უბრალო ხეხილი ახლა ამ პატარა ქალის თვალში გადაიქცა გულითად მეგობრად, ძვირფას მოკეთედ, თითქმის კეთილ სულიერად, გადაიქცა სამუდამოდ, საუკუნოდ.

ბოლოს გოგუცუნა გამოფხიზლდა ჭარბი სიხარულიდან, მოაგონდა თავისი დედ-მამა და მოკურცხლა შინისაკენ, რათა ეხარებინა მათთვის თავისი საარაკო ბედნიერება.

2 გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთს ინგილო გლესს თავის დარბაზში ქორწილი ჰქონდა გაჩაღებული. დედოფლად იყო ჩვენი ნაცნობი ინგილო ქალი, ახლად შეღერებული და ისეთი ეშხიანი, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებდა. მას გვერდს უმშვენებდა ერთი საუკეთესო ინგილო ვაჟკაცი. “ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა”, — ფიქრობდა და ამბობდა ყველა, ვინც კი ამ ნეფე- დედოფალს ერთად ხედავდა.

დაიწყო თუ არა საქორწილო ლხინი, თამადამ ბრძანების კილოთი წარმოთქვა ხმამაღლა: — “სმენა იყოს და გაგონება! ეს ღმერთმა აცოცხლოს და ადღეგრძელოს, ჩვენი გმირი მეფე ერეკლე, გამარჯობა ნუ მოაკლოს ლეკებზე, სპარსელებზე, ოსმალებზე, სამხრეთსა და აღმოსავლეთზე!” — “ადღეგრძელოს, ადღეგრძელოს!” — ისეთი აღტაცებით შესძახეს სტუმრებმა, რომ კაცს შეეშინებოდა, ჭერი არ ჩამოინგრესო.

სწორედ ამ წუთს, უცებ გაიღო დარბაზის კარი, შევიდა ერთი უცხო ვაჟკაცი, მშვენიერ ტანისამოსში გამოწყობილი, და სალამი მისცა:

“აგაშენოთ ღმერთმა და აბედნიეროს ნეფე-დედოფალი”. მერე თქვა: “რა ჩინებულს დროს მოვედი! მე გამომგზავნა მეფე ერეკლემ და მიბრძანა: ეს საჩუქარი მიართვი ინგილო ქალს, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ მთელი მუჭა ქლიავი უთავაზა ჩემს სპარსულ ქუდსაო”, — და გადასცა დედოფალს ვეებერთელა ქისა, სავსე ბაჯადლო ოქროებით, — მზითევიც გამომატანა და აი კიდევ მოაქვთ, — და ამ დროს კარზე მოადგათ რამდენიმე ურემი, დატვირთული მშვენიერი მზითვის ნივთეულობითა. დატრიალდა ისეთი სიხარული, ატყდა ისეთი ქება და დიდება ერეკლესი, მისი კაცთმოყვარეობისა, რომ არც ენით ითქმის და არც კალმით აიწერება სავსებით. არ დარჩა არც ერთი ლექსი იმ მრავალ სადიდებელ ლექსთაგან, რომლებიც ერეკლეზე იყო გამოთქმული, რომ არ ემღერათ სტუმრებს უსაზღვრო აღტაცებით. მღეროდნენ კაცნიც, ქალნიც, დიდნიც და პატარანიც და ადიდებდნენ მეფე ერეკლეს. მეტადრე დედოფალი სწორედ სამოთხის ნეტარებას გრძნობდა. ისე მზითევი არ ახარებდა, როგორც ყურადღება სათაყვანო მეფისა.

ეს ხმა ფიცხლავ გავარდა მთელს საინგილოში და ყველა ინგილო, ქალი თუ კაცი, მზითვის გაგზავნას მეფისაგან საკუთარ პირად ჯილდოდ თვლიდა, მთელი საინგილოს დასაჩუქრებად მიაჩნდა. ეს განაპირა კუთხე საქართველოსი მთლად აივსო მხურვალე მადლობით და უზომო ერთგულებით მეფისადმი.

3 ამის შემდეგ განვლო კიდევ ოცდახუთმა წელმა.

კრწანისის ველზე, თბილისის მახლობლად, საშინელი ომი იყო, ხუთი ათასი ქართველი ებრძოდა სამშობლოს დასაცველად სამოცდა ათი ათას სპარსელს; თითქმის ოთხმოც წელს მიღწეული მეფე ერეკლე, ჯერ კიდევ მხნე და გულადი, ლომივით იბრძოდა და თავს სრულიად არ ზოგავდა. მისი სიცოცხლე ყოველ წამს საფრთხეში იყო. ხან მის ახლო, ხან მის გვერდით, ხან მის წინ იბრძოდნენ, სხვათა შორის, ორნი ნორჩნი ვაჟკაცნი, რომელნიც თავისი საოცარი სიმამაცით, თავისი თავგანწირულობით ყველას ყურადღებას იპყრობდნენ, ყველას

აკვირვებდნენ. არა ერთხელ აქციეს მათ უკან მტერი, მეფეზე მოსული, არა ერთხელ მიუშვირეს მათ საკუთარი მკერდი მტრის ტყვიასა და ხმალს, მეფისათვის დამიზნებულს, არა ერთ სპარსელს დაუბნელეს მზე, მაგრამ თავიანთი სიცოცხლე კი შესწირეს მეფესა და საქართველოს: ორივენი დაიხოცნენ კრწანისის ველზე გმირული სიკვდილით მეფე ერეკლეს თვალწინ.

ვინ იყვნენ ეს ნორჩნი ვაჟკაცნი?

ესენი იყვნენ უფროსი ვაჟიშვილები ჩვენი ნაცნობი ინგილო ქალისა და ნათლულნი თვით მეფე ერეკლესი.

დედას მალე მოუვიდა საინგილოში ამბავი: შენმა შვილებმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს, არა ერთხელ გადაარჩინეს სიკვდილს თავისი ნათლია მეფე, მრავალს სპარსელს დაუბნელეს მზე და თავი შესწირეს მეფესა და საქართველოსაო:

“ვმადლობ, მხურვალედ ვმადლობ უფალს, რომ მან აღირსა ჩემს შვილებს გმირული სიკვდილი, სიკვდილი სახელოვანი მამულიშვილებისა!” — წარმოთქვა დედამ იმისთანა ხმით, რომელშიაც დიდ ნუგეშთან ერთად ცხადად ისმოდა უღრმესი და უმწარესი დედობრივი მწუხარება. “ტყუილად კი არ მძულდნენ პატარაობიდანვე სპარსელები ისე ძლიერ, რომ მზად ვიყავი ყოველს მათს დანახვაზე ზედ შევკვდომოდი. გული თითქოს მაშინვე მეუბნებოდა, ეს მტარვალეები შენც და შენს საყვარელს საქართველოსაც დიდს უბედურებას მიაყენებენო: და, აჰა, წინათგრძნობა გულისა მთლად ამიცხადდა. მაგრამ ნუ გაუხარდებათ მტრებს, — განაგრძო სამაგალითო დედამ, — ღვთის წყალობით, მე კიდევ მყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი. მე მათ დავზრდი უფრო უკეთეს, უფრო გულმხურვალე მამულიშვილებად, და ისინი სხვა დედების აღზრდილ მამულიშვილებთან ერთად გადაუხდიან მტერს სამაგიეროს და ჩვენს საქართველოს დააყენებენ ბედნიერს გზაზე”. ეს ამბავი ქლიავის სროლისა ჩვენი მოგონილი არ არის, ხალხის თქმულებას შეადგენს (ავტორის შენიშვნა).